

ლიტერატურული საქართველო




საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

6 აგვისტო 2021წ. №20 (4019) გამომცემის 90-ე წელი ფასი 1 ლარი


მძლავრ-მძლე



ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველომ მეორე ოქროს მედალი მოიპოვა.

4 აგვისტოს ლაშა ტალახაძე ორი მსოფლიო რეკორდით მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. უნიკალურია მისი სპორტული შედეგი: მეორე ადგილზე გასულ მეტოქეს ლაშამ 47 კილოგრამით გაასწრო.

ქუთაისის თეატრის დღეა უსწოგი ისტორია



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის მისი მშენებლობის ისტორიის ძალიან საინტერესო და გასაიდუმლოებული ამბავი. იგი, ერთი შეხედვით, მითურია, მაგრამ რეალობასაც არ არის მოკლებული.

უნიკალური არქიტექტურული შენობა დაპროექტდა (არქიტექტორები შ. თვაძე, მ. შავიშვილი) 1953 წელს. არსებობს ამ თეატრის მშენებლობის ლეგენდა-ისტორია, რომლის ნამდვილობასაც ვერ დავადგენთ. როდესაც პროექტირება დასრულდა, დაისვა საკითხი, რომელ სამშენებლო უწყებას უნდა აეშენებინა. არქიტექტორები ყველას ინუნებდნენ და, ბუნებრივია, ხელისუფლებაში გაჩნდა კითხვა, თუ რა მიზეზით ვერ ხერხდებოდა მშენებლობის დაწყება. არქიტექტორებმა კი გერმანელი ინჟინერ-კონსტრუქტორები მოითხოვეს. ეს, რა თქმა უნდა, მათ თვითრეპრესირებას ნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ 30-იანი წლების პროექტის არქიტექტორი დახვრიტეს, ვინაიდან რეპრესიებში მოჰყვა. ერთ-ერთი ბრალდება იყო თეატრის არასაბჭოთა

ესთეტიკით შექმნილი პროექტი.

ცხადია, 1953 წელს ასეთი მოთხოვნა დიდი სითამამე იყო. ისინი, გერმანელები, ოფიციალურად ამ მიზნის განსახორციელებლად ვერ ჩამოვიდოდნენ და, ალბათ, წყალტუბოში დამსვენებლების სახით გააფორმეს. შედეგის მიხედვით, ეს ძალიან ჰგავს სინამდვილეს. ქართული ნიჭითა და გერმანული სიზუსტით შესრულებულ შენობას დღემდე ერთი ბზარიც არ გასჩენია.

1956 წლიდან თეატრში კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა. რამდენჯერმე შეაკეთეს, მაგრამ, რასაც შენობის განახლება და ტექნიკურად გამართვა ჰქვია, ასეთი მასშტაბის რემონტი არ გაკეთებულა. 2008 წელს სხვენში გაიხსნა 100-ადგილიანი მცირე სცენა. თეატრის წინ გახსნილია სახელოვანი მსახიობების: ანზორ ხერხაძის, ევა ხუტუნაშვილის, ერემია სვანაძისა და ლამარა ვაჭაკიძის ვარსკვლავები. 2009 წელს შენობას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

▶▶ დასასრული მე-3 გვ.

პაატა ნაცვლიშვილი

ლეგენდარულებისა და სხვათა

წარმოიდგინეთ იაპონელი, რომლის გვარია ვოლფი! ახლა წარმოიდგინეთ იაპონელი, გვარად ვოლფი, რომლის სახელია აარონი! აარონ ვოლფი.

მერე წარმოიდგინეთ იაპონელი, რომელსაც მამუ კი ჰქვია, მაგრამ გვარად ბეიკერი! მამუ ბეიკერი.

ამგვარი უჩვეულო გვარების მიუხედავად, ასეთი იაპონელები მართლა არსებობენ და ორივე მათგანი ძიუდოკაა.

ოფიციალური ინფორმაციით, ამ იაპონელთა მამები ამერიკელები არიან, თუმცა არ ვიცი, არის თუ არა რომელიმე ამ მამათაგანი იურისტი!

მამები კი არიან ამერიკელები, მაგრამ დედები იაპონელები ჰყავთ და, თუ ირანელი ძიუდოკა მონღოლეთის სახელით გამოდის და ქართველი — პორტუგალიის, რა გასაკვირია, რომ ესენი იაპონიის სახელით ასპარეზობდნენ ოლიმპიადაზე. ხოლო რას ნიშნავს იაპონიის ნაკრებში ადგილის მოპოვება, ეს არა მარტო ძიუდოს მოყვარულებმა იციან. ბეიკერიც და ვოლფიც მაგარი ბიჭები არიან. ორივე ოლიმპიური ჩემპიონია. პირველი 90 კილოგრამამდე და მეორე — 100 კილოგრამამდე წონაში. ბეიკერი 2016 წელს გახდა

ოლიმპიური ჩემპიონი რიოში, ვოლფი — აგერ ახლახან, 29 ივლისს, ტოკიოში.

დღეს საქართველოში უკვე ყველამ კარგად იცის, ვინც არის იაპონელი აარონ ვოლფი, ცოტა ხნის წინ კი მისი სახელი მხოლოდ სპორტის, კერძოდ — ძიუდოს, მოყვარულთათვის თუ იყო ცნობილი, თანაც უფრო ნაკლებად, ვიდრე მამუ ბეიკერისა. ვოლფი ამერიკული წარმოშობის ერთადერთი ძიუდოკა ისტორიაში, რომელმაც იაპონიის აბსოლუტური პირველობა მოიგო.

▶▶ დასასრული მე-3 გვ.

მესხურ-ჯაგასური არაპი საგურამოები

2 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის ეზოში „ილიაობა“ გაიმართა.

„ილიაობა“ ის დღესასწაულია, რომლის აღნიშვნაც ილიას ძალიან უყვარდა — დიდი ზეიმი და სტუმრიანობა იმართებოდა საგურამოს სახლში, საქართველოს კუთხეებიდან ჩამოსულ სტუმრებს ეზო ვეღარ იტევდა.



ილიას სახლის კარი კვლავაც ღიაა „ილიაობის“ დღესასწაულზე დასწრების მსურველთათვის — სახლი კვლავაც მასპინძლობს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს.

„ილიაობის“ დღესასწაული 2014 წელს აღდგა. განახლებული ფორმატის მიხედვით, ყოვე-

ლი წლის 2 აგვისტოს „ილიაობის“ მასპინძლები ხდებიან საგურამოში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულები, ნიშნად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე ერთიანი საქართველოს სიმბოლოა და ილიას სახლი სრულიად საქართველოს სახლია.

2014 წელს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის პირველი მასპინძლობა აჭარიდან ჩამოსულებს ხვდათ წილად; 2015 წელს დამსწრე საზოგადოებას სამეგრელოს მხარემ უმასპინძლა; 2016 წელს წარმომადგენელი მხარე იყო აფხაზეთი, 2017 წელს — იმერეთი, 2018 წელს — გურია, 2019 წელს — სვანეთი, 2020 წელს — რაჭა-ლეჩხუმი.

უკვე ტრადიციად ქცეული ფორმატით 2021 წლის 2 აგვის-



ტოს „ილიაობის“ მასპინძლები სამცხე-ჯავახეთის მხარის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც საგურამოში წარმოაჩინეს ამ მხარის კულტურა.

პირდაპირ უნდა ითქვას, შესანიშნავი გახლდათ მესხურ-ჯავახური კულტურული პროგრამა მუზეუმის ღია სცენაზე. განსაკუ-

თრებით გამოირჩეოდა თეატრი, რომელმაც წარმოადგინა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. ეს იყო აღმაფრენა, ნამდვილი არავი — სამხრეთის ქარი — სიციხით გათანაგული მუზეუმის სტუმარ-მასპინძლებისთვის.

2022 წლის „ილიაობას“ უმასპინძლებს შიდა ქართლი.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 17 სექტემბერს

დაუპარსებელი კონსერვაზიზმი და თვითგაკვლელი ოპოზიცია

დოქტორი შველიძე

„გადაგვარება... გადაგვარების და მოსპობის აჩრდილი, რომელიც ფეხ-დაფეხ დაგვდევს და რომელსაც ჩვენი დაშინებული გონება ვერსად ვერ გაურბის... სიკვდილის აჩრდილი ჩვენს სულსა ხუთავს, სასონარკვეთილებაში აგდებს და სასოებას გვიკარგავს... ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია, არ შეიძლება არ მივმართოთ ყოველგვარ საშუალებას, რომელიც ცოტათ თუ ბევრად ჩვენთვის სასარგებლო გამოდგება და დაგვიფარავს გადაგვარებისაგან“.

ეს სიტყვები დღეს და გუშინ დანერვილი შეიძლება ეგონოს მკითხველს, რადგან მსგავსი ტექსტები და განცხადებები ჩვენს მედიაში ხშირია, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილი ამონარიდი 1901 წელსაა გამოქვეყნებული და არჩილ ჯორჯაძის კალამს ეკუთვნის. ეს იმას ნიშნავს, რომ იდენტობის პრობლემა დღესაც, წინა საუკუნეებშიც და გვიანდელ შუა საუკუნეებშიც მუდმივად იდგა ქართველი საზოგადოების, ხალხის, სახელმწიფოს წინაშე.

ვხედავთ, რომ ამ მხრივ დიდი არაფერი შეცვლილა. ახლაც საზოგადოება გაფაციცებით აკვირდება არა მარტო რუსეთიდან არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს (სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა), არამედ ევროპიდან, დასავლეთიდან წამოსულ იმპულსებს, რომელნიც შესაძლოა მორიგი საფრთხეები აღმოჩნდეს. ეგზისტენციური გამოწვევები არსებობს და ყოველთვის არსებობდა, განსაკუთრებით მცირე ხალხებისა და ქვეყნებისათვის.

მოდ და ნუ დაუძახებ საფრთხეებს – საყოველთაო უმუშევრობას, მასობრივი მიგრაციის მუდმივად მზარდ პროცესს, ნულოვან ეკონომიკას; სხვა გლობალურ ნეგატიურ საშიშროებებს.

ერთ-ერთი გამოწვევა აღმოჩნდა პრაიდი. სხვა ზემოდასახელებულ და დაუსახელებელ უბედურებებს როგორღაც შევეჩვიეთ, ყური შევაჩვიეთ, მაგრამ პრაიდს ვერა. სწორედ მას მოჰყვა 5 ივლისი, როცა განრისხებულმა ბრბომ ლგბტ-ის ჯავრი ჟურნალისტიკაზე იყარა. რატომ? იმიტომ, რომ ჟურნალისტიკა ყველაზე თავგამოდებულიად იცავდნენ ლგბტ უფლებებს და თანაც – ყველაზე დაუცველები იყვნენ. ამას პარტიებს ვერ შეჰბედავდნენ, თუმცა გააჩნია პარტიასაც.

კითხვა ასე დაისმის – რატომ იქცა პრაიდი, სხვა ე. წ. საფრთხეებისაგან განსხვავებით, აღარ ჩამოვთვლით, ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხე-საშიშროებად, რომელმაც, როგორც იტყვიან, ფილა აავსო?

ალბათ იმიტომ, რომ გავრცელებული და, მათ შორის, ჩვენი აზრითაც, პრაიდის ფენომენი ფუნდამენტურად უპირისპირდება ქართულ მენტალობას. კარგად გავარჩიოთ – იგულისხმება არა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირი, ჯგუფი, არა მათი ხელშეუხებელი და სექსუალური უმცირესობის კონსტიტუციური უფლებები, არამედ მათი ე. წ. თვითგამოხატვის ფორმები, გეიპარად-ალღუმები თუ სხვა სახის საჯარო მსვლელობები თუ აქტივობები.

არ მოგვყები ზედმეტ ახსნა-განმარტებას და ფაქტს აღვნიშნავ: საქარ-

თველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ამგვარი აქტივობების ფორმები მიუღებელია და ესაა მარტივად, ადვილად დასანახი, შესამჩნევი და ასაღარებელი რეალობა. ამგვარ ვითარებაში საზოგადოების უმრავლესობისათვის საცხებით მისაღები აღმოჩნდა ხელისუფლების უარყოფითი პოზიცია პრაიდი-მსვლელობების მიმართ, რაც საჯაროდ გამოხატეს პრემიერ-მინისტრმა და „ოცნების“ სხვა წარმომადგენლებმა.

მათ მიემატა კიდევ ერთი მძლავრი ძალა საპატრიარქოს სახით.

მოკლედ, ხელისუფლება, საპატრიარქო, სხვადასხვა პატრიოტ-ნაციონალისტური ჯგუფი (ალიანსელები, ვასაძისტები, ქართული მარში), რომლებმაც შეადგინეს კონგლომერატი, რასაც შეიძლება ვუწოდოთ კონსერვატიული ბანაკი. ამ კონგლომერატის უმრავლესი ნაწილი გამოირჩევა ანტიდასავლური განწყობით და საქართველოს პრობლემების მოგვარებას უკავშირებს რუსეთს (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დიდი სავაჭრო ბაზარი, რომელთანაც გაცივებულია ეკონომიკური აღორძინების პერსპექტივა და სხვა).

რადგან განსახილველი პრობლემა პრაიდის თემას დასტრიალებს, დავაზუსტებთ, რომ კონსერვატიული ბანაკი ანტიპრაიდისტული ბანაკიცაა.

ახლა მეორე ბანაკს გადავხედოთ. იქ რა ხდება, იქ ვინ არის და, რაც მთავარია, იქ ვინ იგულისხმება. იგულისხმება, იმის გამო ვამბობთ, რომ პრაიდ-მსვლელობების მხარდაჭერით და დაცვა-დასაბუთებით თითქმის არავის გამოუდგია თავი, მაგრამ ის არც არავის უარუყვია, უარყოფითი პოზიცია არ დაუფიქსირებია. ამიტომ ისინი, მეორე ბანაკის შემადგენელნი – პრაიდის მომხრეებად ითვლებიან, ასეთებად აღიქმებიან: ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, ლელო საქართველოსათვის, გირჩელები, კიდევ სხვანი და სხვანი, მოკლედ, მდგომარეობების მთელი ბანაკი, მთელი პროდასავლური ოპოზიცია.

ცხადია, ამავე ბანაკს ეკუთვნიან პრაიდის ყველაზე თავგამოდებული დამცველები – არასამთავრობოები, (ჟურნალისტები უკვე აღვნიშნეთ). რა თქმა უნდა, ყველა ჟურნალისტი და არასამთავრობო ორგანიზაცია არ იგულისხმება, მაგრამ იდენტიფიკაციის სიმარტივისათვის ისინი ოპონენტების მხრიდან მაინც ასე მოიხსენიებიან – „არასამთავრობოები“, „ჟურნალისტები“. სიძულვილის გამოსახატავადაც ასე უფრო მოსახერხებელია. ჩვენ ხომ კონფრონტაციულ სისტემაში ვცხოვრობთ.

პრაიდის ფაქტორის შეფასებას იმის გამო ვცდილობთ, რომ წინ არჩევნებისა და მიგვაჩნია: პრაიდის ფაქტორმა სერიოზული როლი ითამაშა პოლიტიკური მონაწილეების განლაგებაში. მან მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა და ელექტორატის განწყობები.

უფრო კონკრეტულად, 5 ივლისის მოვლენების შემდეგ პრაიდის ფაქტორმა გამოიწვია და განაპირობა კონსერვატიული ძალების მობილიზება, გაძლიერება და მათი ძალების რაოდენობრივი ზრდა. ზრდა მოხდა ელექტორატის ე. წ. მიუმხრობელთა რიგებიდან და ხარჯზე. ხომ იყვნენ და არიან ასეთები და არცთუ ისე ცოტანი. ისე, მიუმხრობლები – მო-

ყოყმანელები შეიძლება ვუწოდოთ – რომ ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ ბანაკს დაუჭირონ მხარი, აი, ახლა პრაიდის თემის გააქტიურებამ გადაწყვეტილების მიღების ზღვრამდე მიიყვანა... სავარაუდოდ, ისინი პრაიდის მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალებს ხმას არ მისცემენ. შესაბამისად, პრაიდის ფაქტორმა გამოიწვია ან უნდა გამოიწვია პროდასავლური ბანაკის დასუსტება, მისი მხარდამჭერების შემცირება. მეტიც შეიძლება ითქვას: პრაიდის ფაქტორმა, სავარაუდოდ და რაც უნდა სამწუხარო იყოს, გამოიწვია დასავლური იდეის დასუსტება.

ამ შემთხვევაში, სასურველია, რომ ვცდებოდეთ.

მაგრამ მაინც მინდა, ყველა მედასავლეთეს მივმართო – იმათ გარდა, ვისაც პრაიდის პრობლემატიკასთან ფინანსური ინტერესი აკავშირებს:

მეგობრებო, განზე გადადეთ უკიდვანო თავისუფლების იდეა და ქვეყნის ინტერესების სამსახურის ჩარჩოს დაუბრუნდით. ეს საქართველოა, თქვენი სამშობლო, თქვენი ხალხი, რომელიც ჯერ არაა მომზადებული უკიდვანო, შეუზღუდველი თავისუფლებისათვის. ეს არაა ჰოლანდია ან 1968 წლის ახალგაზრდულ-პროტესტანტული პარიზი, რომელიც სექსუალური რევოლუციის იდეით ინვოდა. დასავლეთეგროპულ თუ ამერიკულ საზოგადოებებს აქვთ ფუფუნება, უკიდურესი მემარცხენე-ანარქისტული ექსპერიმენტებით შეიქცეონ თავი, ჩვენი საზრუნავები კი ბევრად უფრო პროზაულია – საჭმელ-სასმელი, სამოსი, სამსახური, ხელფასი და ა. შ. დასავლეთის იდეის დასუსტება, რაც ამ დღეებში ხდება, კარგს არაფერს მოგვითმის. ანტიევროპეისტიულ-დასავლური ყოველი ნაბიჯი პრორუსულ განწყობებს ავტომატურად აძლიერებს.

ცხადია, რუსეთიდან მომდინარე ხმები დასავლეთის გარდაცვალების შესახებ, როგორც იტყვიან, გადაჭარბებულია. ჩვენი მეზობლები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ოცნებობდნენ ევროპის დასასრულზე. ევროპა უნდა დაიღუპოს, – წერდა 1848 წელს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი გერცენი.


ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ ზუსტად ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ოსვალდ შპენგლერმა გამოაქვეყნა თავისი სახელგანთქმული ნაშრომი-გაფრთხილება „ევროპის დაისი“, თუმცა ასი წლის შემდეგაც ევროპულ-დასავლური ცივილიზაცია მყარად ფლობს მსოფლიო ლიდერის მაღალ მისიას, ყველანაირი თვალსაზრისით.

ასეა თუ ისე, ევროპელ-ამერიკელები თვითონ მიხედავენ თავიანთ საქმეებს. ჩვენ ჩვენს პრობლემებს მივხედვით. „უკიდვანო თავისუფლების“ (ტერმინი მიხეილ ბაკუნინისაა) მქადაგებელ-დამცველ პოლიტიკურ ძალებს გამარჯვების არავითარი პერსპექტივა არ ექნებათ ქართულ ელექტორატში და მათთვის ამ იდეის ყოველგვარი გამოვლინების დაცვა, ამ შემთხვევაში პრაიდის სახით, დამაზიანებელია, თუ არა თვითმკვლელობის ტოლფასი.

ამას გვკარნახობს ქართული რეალობა.

პოეტი ლექსით ღირსება

არსებობს პოეტის დრო და არსებობს ლექსის დრო. ლექსი, თუ ის ჭეშმარიტი პოეზიის ნაწილია, სამუდამოდ რჩება. თუ ლექსი რჩება, მაშინ ის პოეტიდან გამორიცხავს დროს. ეს არის შემოქმედების დიალექტიკა: პოეტი ქმნის ლექსს, ლექსი ქმნის პოეტს ახლიდან, უდროობისთვის, მარადიულობისთვის.



სიტყვა აღადგენს და ინახავს სიცოცხლის მარცვალს.

ახლა ამ მარცვალშია მურმან ჯგუბურიას სიცოცხლე.

წელიწადი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ვისხენებთ მას, ვისხენებთ მის ლექსებს და ვხედავთ, როგორ იწყება მისი ახალი კონტაქტი სიცოცხლესთან – სიტყვის მეშვეობით, შემოქმედების დიალექტიკის ძალით.

მურმან ჯგუბურია

ჩემი ლექსები ნატრობენ, ვიცი, გარდავიცვალო როგორმე მალე, რათა მიეგოთ პატივი ღირსი და გაუსწორონ სიმართლეს თვალი.

ასე ნატრობენ ლექსები, რადგან ვატყობ, ხელს უშლით სიცოცხლე ჩემი და, თავიანთი ოცნების გარდა, ვერ აღიქვამენ საკუთარ მერმისს.

ჩემივე ლექსებს ჭამთ ჩემი შური, რომ საკუთარი მოიწყონ ყოფა... ახლა დაჯექ და იფიქრე. მური, ვისთან სჯობია ნამდვილი ძმობა.

– მიყვარს, როდესაც შინ ვართ ყველა, ბექა რომ იტყვიან, – ყველაფერია იმა სიტყვით ნათქვამი თითქმის.

ან კი რა უნდა დავმატოს, რომ არ ვთქვათ ბევრი, და ჩვენთანაა ღმერთიც, როგორც ოჯახის წევრი.

რასაც ვუყურებ, მე ვნერ იმაზე: დაეცა ჩრდილი ნყაროს მინაზე, წყალს მიაქვს ჩრდილი, თნაც ვერ მიაქვს, ჩრდილი ხისაა, სიტყვა ჩემია.

რატომ გვებოდა ქართველებს შოთა, რატომ გვებოდა გალობა მსგავსი? ვარდ-ყვავილებით ველ-მინდვრებს რომ რთავ, როგორ ვუპოვო ცხოვრებას არსი?

რატომ წამიყვან, კვლავ მოვალ თუკი, რად არ მარგუნე მე მყარი ლიბო, რატომ მამბრუნებ, რომ ითქვას უკეთ, თუ... ჯერ ის არ ვარ, რაც უნდა ვიყო!

მე და ჩემი უმცროსი შვილიშვილი ანა გაბელაია

– ანა იყო დედოფალი, ანა იყო პოეტი, შენ ვინ გინდა გამოხვიდე, რომ ვთქვათ დაახლოებით.

– შაჰაჩემი, ყველამ იცის, იყო კარგი არტისტი, ამას როდი გეუბნები შაჰაჩემის ხათრისთვის.

მაგრამ იმას გეუბნები, რაც მადგია ენაზე – მსურს, მედეა ვითამაშო, ოღონდ ქართულ სცენაზე,

ვითამაშო დედოფალი, ვითამაშო პრინცესა, თუმცა ყველას მიჩვენია, ბედმა რაც დამინესა:

ჩემი კარგი ყოფაქცევით გავახარო დედიკო, სხარტად მიტომ გეუბნები, რომ არ გადამეფიქროს!

►► აირეალი გვარდილა

მაკაბის სოფალაი და სხვა პრობლემა

ქუთაისის დრამატულმა თეატრმა წარმატებით დახურა 160-ე თეატრალური სეზონი. პირადად შესაძლებლობა მქონდა მენახა პანდემიის სეზონში განხორციელებული სხვადასხვა სტილის საინტერესოდ დადგმული სპექტაკლები: ნ. ლორთქიფანიძის ფსიქოლოგიური მონოდრამა „თქვენო უდიდებულესობა“ (ყ. სერბარონის მოთხრობის მიხედვით), რომელშიც დალაქის როლს ზვიად სვანაძე ასრულებს.

სპექტაკლის თემა პიროვნებისა და ხელისუფლების პრობლემაა. კერძოდ, ეს ის თემაა, როდესაც მმართველი ძალა ცდილობს თავისი ზრახვების განხორციელებას იმ მასშტაბით, რისი გაკეთების უფლებასაც

უხდებოდა. ამ შინაგან განწყობას ფსიქოლოგიური ნიუანსებით მსახიობები დამაჯერებლად წარმოასახვეს.

გარედანაც ჩხუბის ხმები ისმის, თითქოს მათ სახლში შემოჭრასაც ლამობენ და მხოლოდ ამ დროს თავდაცვის ინსტიტუტი ერთიანდებიან, თავდაცვისთვის ბეისბოლის ხელკეტებითა და ჩახუტებით „იარაღდებიან“. რეჟისორები ლ. სვანაძე და



საზოგადოება მისცემს. სპექტაკლი მაყურებელს სიფხიზლისკენ მოუწოდებს, რათა მისმა არჩეულმა მთავრობამ დანაპირები შეასრულოს და ხალხის ინტერესებს ემსახუროს.

მოქმედება მორგში მიმდინარეობს, სადაც დალაქი გარდაცვლილი მონარქის გასაპარსად მიდის. სარგებლობს რა მომენტით, იგი თავის შეხედულებებს უზიარებს მმართველობის პოლიტიკაზე, საკუთარი თავისა და ხალხის მძიმე მდგომარეობაზე.

მსახიობი ზვიად სვანაძე გმირის ფსიქოლოგიურ-დრამატულ სახეს ქმნის და ცდილობს, სიმართლის თემისას არ გადააჭარბოს და მმართველის „გულისწყრომა“ არ დაიმსახუროს. მისი ყოველი სიტყვა ქმედითა და აზრობრივად დატვირთული. განიცდის მოყოლილ ეპიზოდებს, მაყურებელი ჩართული ჰყავს მოქმედებაში და მასთან ერთად ფიქრს აიძულებს. ყოველი ფესტი, მიმიკა, შინაგანი განწყობა მიმართულია გმირის ფარული თუ გაბედულად ნათქვამი აზრის გამოსახატავად.

მსახიობი ემოციურად გადმოსცემს უბრალო ადამიანის ჩულებრივ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მიმდინარე ცხოვრებას. იგი ხან შიშით, ხანაც გაბედულად საუბრობს ქვეყანაში არსებული მძიმე რეჟიმის შესახებ, გრძნობს, რომ შესაძლოა ამისთვის დაისაჯოს კიდევ. ზოგჯერ ის სიმართლისთვის მებრძოლ გმირადაც გვევლინება.

მეორე სპექტაკლი გახლდათ „კუ+კოკინა“ (ეფემ იონესკოს „ორთა ბოდვის“ მიხედვით), რომელშიც კაცისა და ქალის როლებს თენგიზ ჯავახიძე და მარიკა სამანიშვილი ასრულებენ.

ეს აბსურდული დრამა ასახავს არა მარტო ცოლ-ქმრის, არამედ მათ გარშემო არსებული სამყაროს მდგომარეობას. თანაცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად, სულ დაგობენ, ჩხუბობენ და გარუსამყაროს მოწყვეტილები რეალობისგან შორს არიან. კუ-ლოკოკინას მსგავსება-განსხვავებაზე უაზრო კამათი ხშირად პირად კონფლიქტში გადადის, რასაც რეალობად აღიქვამენ.

მარიკა სამანიშვილის გმირი „ამტიკი-ცებს“, კუ და ლოკოკინა ერთი და იგივეაო. ამას ნიშნის მოგებით ლაპარაკობს, ხოლო თენგიზ ჯავახიძის პერსონაჟი სანინალმდეგო აზრს ჯიბრით გამოხატავს. ირკვევა, რომ ორივეს პირადი ცხოვრება, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ვერ აენყო, მაგრამ მათი თანაცხოვრების პირობებშიც სათანადო გარემო ვერ შექმნეს.

ქალი წარსულით ცხოვრობს, ნოსტალგიაც შემოანება და ცრემლებამდეც მიდის. მამაკაცი კი მის ნათქვამს კრიტიკულად აღიქვამს და ხანდახან ირონიულადაც პასუხობს. საზოგადოებისგან გამოთიშულნი არიან, ორივეს დაბნეულობის განცდა აქვს, გრძნობენ გარემომცველი სამყაროს გულგრილობას და ცხოვრებისეული სტრესის გადატანა საბრძოლო განგამის გამოხატვით

კ. აბაშიძეც იმ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ეს განუკითხაობა არასდროს დამთავრდება.

ამაზე მეტყველებს თეო კუხიანიძის სცენოგრაფიაც, სადაც უკანა პანოზე პირველყოფილ ადამიანებსა და გამოქვაბულის კედლებზე დახატულ ცხოველებს ვხვდებით. ეს ბრძოლა ადამიანის გაჩენიდან მომდინარეობს...

თეატრის დღევანდელი ცხოვრების შესახებ სასაუბროდ შევხვდით მის სამხატვრო ხელმძღვანელს კოტე აბაშიძეს, რომელიც უკვე ოთხი წელია, წარმატებით თავკაცობს თეატრს.

– ბატონო კოტე, როგორია თეატრის შენობის დღევანდელი რეალობა და რა პრობლემების წინაშე დგახართ?

– ბოლო რემონტი 2010 წელს გაკეთდა. 1 მილიონ 600 ათასი ლარით ამხელა შენობის რემონტის დანებება სწორი არ იყო. ამიტომაც მამინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა მიღება-ჩაბარების აქტს ხელი არ მოაწერეს და დღემდე ეს რემონტი დაუსრულებლად ითვლება.

ამან თეატრს ტექნიკური თვალსაზრისით უამრავი პრობლემა შეუქმნა. რემონტი თავისთავად გაუმჯობესებას ნიშნავს. სინამდვილეში კი თეატრი გაიძარცვა და განადგურდა მთელი რიგი მიმართულებებით.

განსაკუთრებით დაზიანდა მისი ტექნიკური ბაზა. ეს, უპირველესად, აისახა მაყურებლისთვის განკუთვნილ სავარძლებზე (დაჯდომისას ადამიანი ქვემოთ მოსრიანებს, ვარდება. აი, ასეთი უხარისხო სავარძლები დაამონტაჟეს. ჩვენ გვაქვს ჯორკო და მას პრეზიდენტის ტაბურეტს ვეძახით. ქალბატონი სალომეს მოსვლის დროს ამ ტაბურეტს მისი სკამის ქვეშ ვდებთ), ასევე, სცენის ტექნოლოგიაზე, უნიკალური სახურავის ტექნოლოგიაზე (იგი ობსერვატორიის მსგავსად იშლებოდა). მოკლედ რომ ვთქვათ, თეატრი ყოველმხრივ ძალიან დაზარალდა. ამ „რემონტის“ ავტორები დღეს სად არიან და რა პასუხი უნდა მოუთხოვოთ, ეს სხვა თემაა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შტანგეტები და სოფიტები, რომლებიც გაყვანილობაზე იყო დამონტაჟებული (როგორც ეს მონინავე ევროპულ ქვეყნებშია), იძულებული გავეხდით, 50-იანი წლების მეთოდზე – ხელით აწვევა-დანევაზე გადაგვეყვანა.

ისეთი ტექნიკური ხარვეზები გაჩნდა, რაც მანამდე არ იყო. ყოველივე ეს ერთი წლის შემდეგ გამოჩნდა. არაკომპეტენტურად, უხარისხოდ, უპასუხისმგებლოდ გაკეთებულ ეგრეთ ნოდებულ რემონტს სინამდვილეში ნგრევა და ყაჩაღობა ჰქვია. ამიტომ ამ უნიკალურ შენობას სადღეისოდ უამრავი ტექნიკური (სცენის ტექნოლოგია, ელექტროგაყვანილობა, გათბობისა და სავენტილაციო სისტემები. სახურავიდან წყალი სცენაზე ჩამოდის) პრობლემა აქვს. მინდა შეგახსენოთ, რომ ესაუბრობთ ევროპასა და მსოფლიოში ერთ-ერთ უღამაზეს შენობაზე.

– არსებობს პროექტი ეზოში ასაშენებელი „მწვანე თეატრისა“, რომელიც ასევე საინ-

ტერესო და უნიკალური იქნება არა მარტო თეატრისთვის, არამედ ქუთაისისთვისაც, და მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა გახდება.

– ეს იდეა პანდემიის დროს გაჩნდა. მაშინ, როდესაც ყველაფერი გაჩერდა, თეატრის ეზოში დავინწყეთ მესამე სათამაშო პროფესიული სივრცის მოწყობა, რომლის პრეცედენტიც სხვაგან არ ვიცი. თუმცა დასასვენებელ ბაღებში ღია სცენები არსებობს.

აუცილებლად აღსანიშნავია ჩვენი 10-წლიანი მეგობრისა და პარტნიორის, ბიზნესმენ ზაზა ჭილაძის თანამშრომლობა, რომელთან ერთადაც მოვახერხეთ „მწვანე თეატრის“ ბაზის შექმნა და გახსნა. როდესაც კულტურის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანამ ეს ნახა, იქვე გამოთქვა ამ სივრცის ტექნიკურად გაუმჯობესების სურვილი. შემუშავდა პროექტი (არქიტექტორი ზურაბ ვამაქიძე) და სერიოზული ინვესტიცია იდებოდა კულტურის სამინისტროსგან, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მინისტრს. იმედი გვაქვს, სექტემბრის ბოლოს ევროპული სტანდარტებით განწყობილი, 120 მაყურებელზე გათვლილი „მწვანე თეატრი“ გვექნება.

29 სექტემბერს ქუთაისში ევროსაბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმი ეწყობა და მისი კულტურული ნაწილი აქ გაიმართება, ხოლო ტექნიკურ უნივერსიტეტში საქმიანი ფორუმი ჩატარდება.

– ახლა შემოქმედებით მხარეზეც ვილაპარაკოთ. პანდემიამ ყველა თეატრი და, მათ შორის, თქვენც დაგაზარალა. როგორ გადაიტანეთ პანდემიის ურთულესი პერიოდი?

– არც ერთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან – კულტურის სამინისტრო, ქალაქის მერია, ბიზნესსექტორი – ლალატი არ ყოფილა და ყველა შეთანხმება შესრულდა. არანაირი სეკვესტრში თეატრი არ მოყოლილა. ეს არის სადადგმო ხარვეზებით უზრუნველყოფა, რომლის 60 პროცენტით პროექტების დაფინანსება კერძო სექტორიდან თუ ეს არის კულტურის სამინისტროს მხრიდან სხვადასხვა პროექტის დაფინანსება და მუშაობაში ხელშეწყობა. ასეთი თანადგომისთვის ყველას ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. მოგეხსენებათ, აპრილში შეხუდდებით მოხსნა და რეგულაციების დაცვით დავინწყეთ მუშაობა. 5 პრემიერა მოვახდინეთ და 160-ე სეზონიც დავეწყეთ.

– რა გეგმები გაქვთ სარეპერტუარო პოლიტიკის თვალსაზრისით?

– სექტემბრიდან გამოვა დიდი მასშტაბის სპექტაკლები. ეს გახლავთ შექსპირის „მაკბეტი“, რომელსაც ქუთაისის კაპელასთან ერთად ვახორციელებთ და ეს პირველი შემთხვევაა ქუთაისში კაპელისა და დრამატული თეატრის ინტეგრაციისა. აღსანიშნავია, რომ კაპელის წევრები პერსონაჟებიც იქნებიან ბერებისა და მონაზვნების სახით და სპექტაკლის ორგანული ნაწილი გახდება. ცხადია, კაპელას თავისი დანიშნულებითაც გამოვიყენებთ. კომპოზიტორია გოგი ჩლაიძე და, თუ ამ ჩანაფიქრმა გაამართლა, რასაც მაყურებელი გადაწყვეტს, სპექტაკლი, ვფიქრობ, ძალიან დიდ ეფექტს მოახდენს და ძალიან გაზრდის დადგმის მხატვრულ მხარეს.

მეორე დიდი პროექტია ბერტოლდ ბრეხტის „დაფაფები ღამით“, რომელსაც რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი დადგამს. ასევე, დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირს“ მუსიკალური ფორმით კომპოზიტორ გოგი ჩლაიძესთან ერთად რეჟისორი

ნუგზარ ბაგრატიონი დაგამს. ქატიან რეჟისორი მუსიკალური სპექტაკლია, რომელიც ასეთი გადაწყვეტით არასდროს დადგმულა.

ორი დადგმა მცირე სცენაზე განხორციელდება. ამდენად, არსებულ 5 სპექტაკლს ამდენივე დადგმა ემატება და გავედგართ იმ დონეზე, რომელზედაც პანდემიამდე ვიყავით.

– როგორია თქვენი თეატრის რეპერტუარი, როგორ იცავთ ქართულ-უცხოურ ბალანსს?

– სპექტაკლების ესთეტიკა ყველა მიმართულებითაა გაშლილი. არ არსებობს უანრი, რომ თეატრის რეპერტუარში არ იყოს. ქართული ეროვნული დრამატურგია (დაახლოებით 30 პროცენტი) ბალანსირდება ევროპულ დრამატურგიასთან. შესაბამისად, მაყურებლისთვის საინტერესო იქნება ისტორიული უანრის, დრამის, კომედიის, ფარსისა და აბსურდის ნახვა. ეს რეპერტუარი ყველა კატეგორიის მაყურებელზეა გათვლილი, მათ შორის, საბავშვო და საყმაწვილო ასაკზეც.

რეპერტუარში სულ გვაქვს 40-მდე სპექტაკლი და სეზონს ვხურავთ მცირე სცენაზე ეფემ იონესკოს პიესის „ორთა ბოდვის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით „კუ+კოკინა“, რომელიც ლევან სვანაძემ და თქვენმა მონა-მორჩილმა განვახორციელეთ.

ელენე მეცხონაშვილმა დადგა კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, რომელშიც 4 მსახიობია და 4 მეთოჯინე მსახიობი. ამდენად, თეატრის მსახიობებს თევზის მიღმდინაც შეუძლიათ თამაში, ასევე სცენაზე მყოფ მსახიობს შეუძლია თოჯინას გაუნის პარტნიორობა, რაც მსახიობთა მრავალმხრივ შესაძლებლობებსა და რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

– როგორც ვიცით, ბევრ ახალგაზრდა რეჟისორს მიეცით თავის გამოჩენის საშუალება...

– ამ 4 წლის განმავლობაში ბევრმა ახალგაზრდა რეჟისორმა დადგა სპექტაკლი. უკვე ტრადიციად გვაქვს, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ერთ მაგისტრანტს აუცილებლად ვადაგმეინებთ სპექტაკლს. ამავ დროს, სეზონის მანძილზე, მინიმუმ, ორ რეჟისორს ვაძლევთ მუშაობის საშუალებას. ბოლო დროს ახალგაზრდა რეჟისორის ნინო მაღლაკელიძის ნამუშევარმა „ქარი ქრის ვერხვებში“ თეატრს გრან-პრი მოუტანა.


– თქვენი ახალი ჩანაფიქრი?

– ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალ სეზონს „მაკბეტით“ გავხსნით. ვეცდებით, ლედი მაკბეტის ცოლქმრული ურთიერთობის ხაზი პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბამდე ავიყვანოთ. იმიტომ, რომ იმ სამყაროს წგრევამ, რასაც მაკბეტის სამყარო ჰქვია, ამის პარალელურად ორი ადამიანის ცხოვრება დაანგროა. შევეცდებით ქამისა და მამაკაცის ურთიერთობა პოლიტიკურ სიმძაფრედ ავიყვანოთ. შესაბამისად, თუ „კუდიანები“ მოგვერეინენ, სრულიად დაინგრევა სახელმწიფოცა და პირადი ურთიერთობებიც. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ჩანაფიქრს განვახორციელებთ.

– როგორი იქნება აღქვების დატვირთვა სპექტაკლის ასეთი გადაწყვეტისას?

– ყველა რეჟისორისთვის მნიშვნელოვანია, თუ რა მიმართულებას მისცემს აღქვების თემა. შექსპირის აზრით, ეს ის უდიდებულები არიან, რომლებიც თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობენ. თეთრისა და შავის ჭიდილში, ეს არის შავი მხარე და თუ მას ვერ მოერივ საკუთარ თავში, მაშინ პიროვნულად დამარცხდები. ჩვენს შემთხვევაში კუდიანები არიან ლედი მაკბეტის სუფეხები, რომლებიც მოქმედების მსვლელობისას ტრანსფორმაციას განიცდიან და აქედან გვაქვს ამოსავალი წერტილი. როგორ გამოვიყვანო ეს ჩანაფიქრი და როგორ შეგვაფასებს მაყურებელი, ეს მომავლის საკითხია.

გუბაზ მებრალიძე



პირველი გვერდიდან

მობდა ისე, რომ ეს ორი ამერიკელი იაპონელი ბედისწერად და გადაუღებელი დაბრუნებად ექცა ვარლამ ლიპარტიანიანს ოლიმპიური ოქროს მედლისაკენ მიმავალ გზაზე ბოლო ორ თამაშებზე.

ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების ექვსი მდელის მფლობელი, ევროპის ახალგაზრდული პირველობების ორგზის გამარჯვებული და მსოფლიო ჩემპიონი ოუნიორთა შორის ვარლამ ლიპარტიანიანი არაერთი უმაღლესი ჯილდოს მფლობელია, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, მაგრამ არც მსოფლიო ჩემპიონი ყოფილა და არც ოლიმპიური ჩემპიონი. მთელი ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად წარმატებულ სპორტსმენს ჯილდოთა კოლექციაში მხოლოდ ეს ორი ტიტული აკლია. არადა, ერთხელ ოლიმპიადის ფინალშიც იყო და სამჯერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც იჭიდავა.

ვარლამ ლიპარტიანიანი – ესოდენ სტაბილური მანამდე დონეზე, ძალიან არასაიმედო და ძალიან უიღბლო იყო გადაწყვეტ ფინალში. ასე ხდებოდა მთელი მისი კარიერის მანძილზე. წაგებული აქვს ერთი ოლიმპიური, სამი მსოფლიო პირველობის, ექვსი ევროპის ჩემპიონატისა და ორიც ევროპული თამაშების ფინალი! მართლა მეტისმეტია ამ კლასის სპორტსმენისათვის! თან წაგებული აქვს იმათთან, ვისაც, იშვიათი გამოწვევის გარდა, ლიპარტიანიანისთვის უშუალო ორთაბრძოლაში წარმომავალი ტიტულის მეტი სხვა რამ ფასეული ბევრი არაფერი მოუპოვებია!

ვარლამ ლიპარტიანიანს კი ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე და ევროპულ თამაშებში 19 მედალი აქვს მოპოვებული, რომელთაგან 12 ვერცხლია და 2 ბრინჯაო, ხოლო ოქროს მხოლოდ 3-ია. ამას გარდა, მასტერსებში, გრანდ-სლეიმებსა და გრანდ-პრიზებში იგი 27 მედლის მფლობელია, რომელთაგან 13 ოქროა, 4 ვერცხლი და 8 ბრინჯაო. ოლიმპიურ ოქროზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი შთაბეჭდილება კოლექციის პატრონისთვის ძალზე ცოტაა სამად სამი ოქროს მედალი და ისიც მხოლოდ ევროპის ჩემპიონატებზე. შეიძლება მრავალი მასტერსი მოიგოს და ორჯერ მეტი გრანდსლეიმი თუ გრანპრი და შენი სახელი მაინც არ შემორჩეს ძიუდოს ისტორიას. საამისოდ ოლიმპიური თუ არა, მსოფლიო ჩემპიონობა მაინც არის აუცილებელი.

ახლა წარმოიდგინეთ ავსტრალიელი, რომლის სახელი და გვარია მარკ ანტონი ანუ მარკუს ანტონიუსი!

ჰოდა, ლიპარტიანიანს ლონდონში რომის იმპერატორის მოსახელე ავსტრალიელი მარკუს ანტონიუსი გადაეღობა წინ მეორე წრეშივე, რიო დე ჟანეიროში მამუ ბეიკერმა ფინალში დაამარცხა, ტოკიოში აარონ ვოლფმა ნახევარფინალში გამოთქვა ოქროსთვის ბრძოლა, ხოლო რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ნიკა ილიასოვმა, რომელიც მესხეთელი თურქი ყოფილა, მერე ბრინჯაოც არ დაუთმო.

იშვიათია ერთი მხრივ ასეთი ტიტულოვანი და მეორე მხრივ ასეთი ხელმოცარული სპორტსმენი!

არ ვიცი, შეიძლება იჩქარა, შეიძლება ეს ცხელ გულზე გააკეთა, მაგრამ ფაქტია, რომ ბრინჯაოს მედლისათვის ორთაბრძოლაში დამარცხების შემდეგ ვარლამ ლიპარტიანიანმა თავის ინსტაგრამზე დაწერა, რომ თავს ანებებს სპორტს, რაც დიდად გულდასაწყვეტი ამბავია ჩვენთვის, მისი გულშემამტკიერებისთვის.

მასსოვს, როგორი სახით ჩაიბარა ვარლამ ლიპარტიანიანმა ვერცხლის მედალი რომში, საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მდგარმა, ვიცი, როგორი გაოცება გამოიწვია მისმა ცრემლებმა ოლიმპიადაზე დაკავებული მეორე ადგილის გამო, რომელიც მსოფლიოს ათეულ ათასობით სპორტსმენისთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩება.

მამინ როცა, უდადესი ტედი რინერი თავისი ბრინჯაოს მედლით აღფრთოვანებული პოზირებდა საპატიო კვარცხლბეკზე, ლიპარტიანიანივით ჩამოსტირებად სახე ტოკიოში ჩვენს მიმდინარეობასს გურამ თუშმევილასაც, როცა 30 ივლისს ფინალური ორთაბრძოლა დათმო ჩეს ლუკა კრპალეკთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა ხოლო „ინტელიგენტ ცხოველად“ წოდებული ლუკა კრპალეკი ამ დამარცხებით თუშმევილამ მსოფლიოს ყველა დარის ერთ-ერთ თუ დიადეს ძიუდოისტად აქცია. ორგზის ოლიმპიური, მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი, თანაც სამიჯგან ორ სხვადასხვა, ყველაზე პრესტიჟულ ნონაში, შეიძლება ითქვას, იგი მხოლოდ ტედი რინერს ჩამოუვარდებდა და თანაც მან ეს მოახერხა იმავე ტედი რინერის ბატონობის ხანაში გურამ თუშმევილის ფაქტობრივი ხელშეწყობით. მას შემდეგ, რაც ტედი რინერი ოქროს მედლისათვის ბრძოლას გამოეთიშა, ტოკიოში ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი სწორედ ქართველი თუშმევილი იყო!

აი, ანტიკური ჭიდაობის მიმდინარეობასთან

ფინალში კი ფავორიტი ქართველი ქაჯაია არ ყოფილა. აქ ფავორიტი, რა თქმა უნდა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მიხაინ ლოპეს ნუნისი იყო, 39 წლის კუბელი, რომელიც თითქოს ისტორიიდან მობრუნდა ანმყოფი, ადვილად დაამარცხა ყველა, მათ შორის – იაკობ ქაჯაიაც, კიდევ ერთი ოლიმპიადა მოიგო და ისევ ისტორიისკენ გაუყვია გზას, თუმცა არაფერი იცის, ვინძლო, სამი წლის შემდეგ პარიზშიც ვიხილოთ ისტორიიდან კიდევ ერთხელ მობრუნებული მორიგ ოლიმპიადაზე.

მიხაინ ლოპეს ნუნისი ერთადერთი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონია ჭიდაობაში. ლოპეს ნუნისსამდე ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გამხდარიყო ლეგენდარული ალექსანდრ კარელინი, რომელსაც ამის საშუალება არ მისცეს 2000 წლის ოლიმპიადაზე სიდნეიში. მანამდე კარელინს არც ერთი ოფიციალური ორთაბრძოლა არ ჰქონდა წაგებული 1987 წლიდან, როცა მან, 20 წლისამ, საბჭოთა კავშირის პირველობის



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კაატა ნასვლიშვილი

ფინალი დათმო მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონ და სსრკ ნაკრების ლიდერთან იგორ როსტროვსკისთან. ამ ვერცხლის მედლის შემდეგ კარელინმა 55 მედალი მოიპოვა და ყველა ოქროსი! მან 3-ჯერ მოიგო ოლიმპიადა, 9-ჯერ – მსოფლიო პირველობა, 2-ჯერ – მსოფლიო თასი, 12-ჯერ – ევროპის ჩემპიონატი. ამ მხრივ მას სპორტის ისტორიაში ცოტა ვინმე თუ შეედრება, მაგრამ ჭიდაობაში მეოთხე ოქროს მედლით კარელინის მეოთხე ვერცხლის წინააღმდეგ ლოპეს ნუნისი მასზე წინაა.

ხოლო კარელინმა, რომელმაც თავისი ბრწყინვალე სპორტული კარიერა ვერცხლის მედლით დაიწყო ოსკარში, ვერცხლის მედლითვე დაამთავრა სიდნეიში.

2000 წელს საკუთარი თვალთ ვუყურებდი, როგორ წაგებინეს მას ფინალური ორთაბრძოლა სიდნეიში ვინმე რულონ გარდნერთან, რომელსაც მანამდე არაფრით გამოეჩინა თავი და მხოლოდ მეორე წელს ოლიმპიური ჩემპიონის ავტორიტეტით აღჭურვილმა მოიგო მსოფლიო პირველობა. სამართლიანობისთვის იმასაც დავეძენ, რომ მომდევნო ოლიმპიადაზე ათენში მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ათენში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ლოპეს ნუნისმაც, რომლის გვარი პირველად სწორედ ათენში გამოჩნდა 2004 წელს, როცა კუბელმა სუპერმძიმეწონოსანმა მოკრევემ ერთადერთი ბრძოლა წააგო მუჰამედ ალისთან და მესამე ადგილზე გავიდა. ეს მუჰამედ ალი – 2004 წლის ვერცხლის მედლის მფლობელი, სხვა მუჰამედ ალი გახლავთ, იმ დიდი მუჰამედ ალის მოგვარსახელი, რომელიც კასუს კლიის სახელით გახდა ოლიმპიური ჩემპიონი 1960 წელს რომში. ეს ლოპეს ნუნისიც სხვა ლოპეს ნუნისია – ტოკიოს ოლიმპიადის ტრიუმფატორის უფროსი ძმა – მიჩელ ლოპეს ნუნისი. მასზე 6 წლით უმცროსი მიხეილი ათენის ოლიმპიადაზე არ გამოსულა, მისი ოლიმპიური გზა 2008 წელს დაიწყო ბეიძინში და 2021 წელს დაავიწვინდა ტოკიოში.

აი, ვინ არის მართლა ლეგენდარული ოლიმპიელი! ლოპეს ნუნისის ფონზე კრპალეკსაც კი ვერ ვუნოდებ ლეგენდარულს. არადა, ჩვენი ტელეკომენტატორები ყოველ მეორე თუ არა, მესამე ოლიმპიურ ჩემპიონს ლეგენდარულად ნათლავენ და მართლა ლეგენდარული მაიკლ ფელპსისთვის, 23-გზის ოლიმპიური ჩემპიონისა და სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს ოლიმპიური მედლის მფლობელისთვის, ამგვარ ეპითეტს კი არა, აღმატებულ ზედსართავსაც აღარ იტოვებენ.

კარგი, ეს „ლეგენდარული“ მართლა სუბიექტური თუ პირობითია და ვინ ვის როგორ დაუძახებს, გემოვნების ამბავი უფროა, მაგრამ როცა ტელეკომენტატორი არაერთხელ ჯოუტად

გვიბეჯითებს, რიო დე ჟანეიროში საქართველოს წარმომადგენლებმა ერთი ოქროს, ორი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, მას ან ლაშა ტალახაძის ოქროს მედალი ავიწყდება ან ვლადიმერ ხინჩეგაშვილისა!

ხოლო ფელპსი, რა თქმა უნდა, მართლა უნიკალური მოვლენაა, თორემ, საერთოდ, ისეთ დისციპლინებში, სადაც ერთ ოლიმპიადაზე ერთ სპორტსმენს ორი და მეტი ოქროს მედლის მოგება შეუძლია, ლეგენდარული სპორტსმენები, ძალზე იშვიათი გამოწვევის გარდა, არ მეგულებია.

ოლიმპიელს რომ „ლეგენდარული“ უწოდო, მას კიდევ სხვა შარავანდედი უნდა ადგეს და სულ მცირე, ალბათ ოთხ ოლიმპიადაზე უნდა ჰქონდეს მოპოვებული მედლები. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ამერიკელი დისკობოლი ალ ორტერი ან ჩვენი ვიქტორ სანევი, ან იგივე ალექსანდრ კარელინი და, რასაკვირველია, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი მიხაინ ლოპეს ნუნისი, რომელმაც 2 აგვისტოს ფინალში ჩვენი

შეიძლება უწოდო სპორტსმენს, რომელიც მრავალგზის მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში, მედლებიც აქვს მოპოვებული და მის პირველ და უკანასკნელ მედალს შორის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი. ასეთთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი, რა თქმა უნდა, არის ჩვენი ლეგენდარული ნინო სალუქვაძე.

გარდა ამისა, „ლეგენდარული“ შეიძლება ვუწოდოთ სპორტსმენს, რომელმაც პრინციპულად შეცვალა სპორტის ესა თუ ის სახეობა. სწორედ ასეთია ლეგენდარული სიმაღლეზე მსტომელი, ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი დიკ ფოსბიური.

1968 წლის ოლიმპიადა მეხიკოში პირველი ოლიმპიადა იყო, რომლის ტელერეპორტაჟები საბჭოთა ტელევიზიამ აჩვენა. მეხიკოში გამართული თამაშები პირველი ოლიმპიადა იყო, რომელსაც თვალს ვადევნებდი ტელევიზიით თუ პრესით და რომელმაც დიდწილად განაპირობა სპორტით ჩემი დაინტერესება.

მასსოვს რუსი კომენტატორების გაოცება, როცა სიმაღლეზე სტომა დაიწყო და მანამდე მხოლოდ ვინჩო წრეში ცნობილმა სპორტსმენმა მცირე ირიბი გამოჩენის შემდეგ თამაშას ზურგი შეაქცია და მერე უკულმა გადაეღო მას! ეს სრულიად ახალი ტექნიკა იყო სიმაღლეზე სტომაში და მას მისი გამომგონებლის სახელი უწოდეს – ფოსბიური-ფლოპი. ერთაშად არა, მაგრამ ამ ტექნიკამ ნელ-ნელა მოიპოვა პოპულარობა და, თუ არ ვცდები, 1980 წლის შემდეგ იმ ძველი სტილით აღარც არავინ სტება და, თუ სხვა ვინმე სტება კიდევ – ყოველად წარუმატებლად ან სავარჯიშოდ თუ სახლისოდ.

ძველი სტილით, ანუ გადაგორებით სიმაღლეზე სტომაში ბოლო მსოფლიო რეკორდი – 2.34 – უკრანელმა ვლადიმერ იაშჩენკომ დაამყარა 1978 წლის 16 ივნისს თბილისში. როგორც „მართებს“ კორესპონდენტი, მეც ვესწრებოდი ამ რეკორდის დაბადებას თბილისის „დინამოს“ სტადიონზე და პატარა კორესპონდენციაც მოვაშავე ფურნალისთვის. მომდევნო მსოფლიო რეკორდი – 2.35 – პოლონელმა იაცეკ ვშოლამ დაამყარა დასავლეთგერმანულ ბენრშტადტში 1980 წლის 25 მაისს. ვშოლა და ყველა მომდევნო რეკორდსმენი უკვე ფოსბიური-ფლოპით სტებოდა და სტება.

რა თქმა უნდა, ფოსბიური-ფლოპით სტებოდა ამ დისციპლინაში მონაწილე ყველა სპორტსმენი ტოკიოშიც. მათ შორის ის ორნიც – ოლიმპიური ჩემპიონები, ყატარელი მეთავე ესა ბარშიმი და იტალიელი ჯანმარკო ტამბერი, რომელთაც დაჯილდოების ცერემონიაზე ერთმანეთს დაპკიდეს ოლიმპიური ოქროს მედლები!

ეს ამ ოლიმპიადის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო და ანტიკური დარჩება დიდხანს. ბარშიმიც და ტამბერიც, რომლებიც ძველი მეგობრები არიან და ერთადაც ხშირად უვარჯიშოთ, დიდხანს და სხვადასხვა გზით მოდიოდნენ ამ მომენტამდე.

30 წლის მეთავე ესა ბარშიმი დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში 14 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლის მფლობელია. იგი არის მსოფლიოს სამგზის, აზიური და პანარაბული, აგრეთვე სხვა დიდი საერთაშორისო ასპარეზობის მრავალგზის გამარჯვებული. რაც შეეხება მის ოლიმპიურ გამოსვლებს, ბარშიმი ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა წლევედელ ოქროს: ლონდონში ბრინჯაოს მედალი მოიგო, რიოში კი ვერცხლისა.

ტოკიოში ორივე იდეალურად მივიდა 2 მეტრსა და 37 სანტიმეტრამდე. არც ერთი ცდა არც ერთს არ გაუტყდებია. იმ დღეს გამართული ფინალის სხვა მონაწილეთაგან ეს სიმაღლე ვერავინ დაძლია. მერე ბარშიმი და ტამბერმა ოლიმპიურ რეკორდს – 2.39-ს შეუტყეს, მაგრამ უმედეგოდ: მათი სამ-სამივე ცდა ფუჭი აღმოჩნდა.

ასეთ დროს დამატებითი სტომები ინიშნება, ოღონდ თამასა ყოველი ერთნაირი შედეგის შემდეგ მალა-მალა კი არა, პირიქით – დაბლა-დაბლა იწვეს. შეჯიბრების მსაჯმა ბარშიმი და ტამბერი იხმო და ჰკითხა, იყვნენ თუ არა მზად დამატებითი სტომებისათვის. და აქ მოხდა ის, რაც დიდხანს იქნება სალაპარაკო და საკამათო სპორტის სამყაროში.

– არ შეიძლება, რომ ორივემ ოქროს მედალი მივიღოთ? – ჰკითხა ბარშიმი მსაჯს.

არავინ იცის და ახლა თავადაც აღარ იტყვის, მან ეს სერიოზულად იკითხა თუ, უბრალოდ, მხოლოდ თავისი სურვილი გამოხატა და დაძაბულობის გაფანტვას შეეცადა.

როგორც ჩანს, მსაჯს, ჩემთვის უცნობი რაღაც წესის საფუძველზე, ამის გადაწყვეტის უფლებამოსილებაც ჰქონდა და პასუხზე ბევრი არ უფიქრია, რადგან მეორე წუთში სპორტსმენებმა ხელი ხელს დაჰკრეს, ტამბერი ბარშიმს შეახტა და სიხარულის ისეთი ყიფინა დასცხო, ისეთი ისტერიკა დაემართა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, ბადროს მტყორცნელს ბადრო ხელიდან გავარდნოდა, ფეხზე დაესცემოდა და უფრო სერიოზული ტრავმა მიეღო, ვიდრე თავად ტამბერის ჰქონდა 2016-ში.

ოლიმპიადებზე მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ტყეის სროლასა თუ ზოგიერთ სხვა სახეობაში ხდება ხოლმე, როცა ორი მონაწილე ზუსტად ერთნაირ შედეგს აჩვენებს და არის შემთხვევები, როცა ორგანიზატორებს ორი ოქროს, ორი ვერცხლის ან ორი ბრინჯაოს მედლის გაცემა უწევთ, მაგრამ სიმაღლეზე სტომა ასეთ დისციპლინათა რიცხვში არასოდეს ყოფილა.

მას შემდეგ, რაც ბარშიმიც და ტამბერიც გამარჯვებულად გამოაცხადეს, ბელარუსმა მაქსიმ ნეფოსევიცმა, რომელსაც ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად, განაცხადა:

– ერთი მხრივ, ეს ყველაფერი ძალზე ლამაზი და პოზიტიურია, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ტამბერიმ მძიმე ტრავმის შემდეგ შეძლო რეაბილიტაცია და იმისთვის ეს გამარჯვება ამიტომაც იყო ასეთი ემოციური. მაგრამ წესი არის წესი, ბრძოლა ოქროს მედლისთვის ამ ორს შორის უნდა გაგრძელებულიყო პირველ შეცდომამდე. რას ჰქვია, შეთანხმდნენ?!

ისიც კი დაინერა, რომ, თუ ბრძოლის გაგრძელება არ სურდათ, ოქროს მედალი იმისთვის უნდა მიეცათ, ვინც უფრო დაბალი ან ორივესთვის ვერცხლის მედალი შეეთავაზებინათ და მერე ენახავდით, გააგრძელდნენ თუ არა ბრძოლასო. ამ მაგალითით ნახალისებულმა ხვალ რომ სხვა დისციპლინის წარმომადგენლებმაც მოილაპარაკონ? სამი სპორტსმენი რომ შეთანხმდნენ? და ოთხი? და ფინალის ყველა მონაწილე?

მართლა ლამაზი ამბავია, ძალიან ლამაზი. ორივე გამარჯვებულია, ორივე ბედნიერი.

ვარლამ ლიპარტიანიანსაც აკლია კოლექციაში ოლიმპიური ოქროს მედალი. აფსუს, რომ ძიუდოში შეჯიბრებებში მანამდე დამთავრდა, სანამ ბარშიმი და ტამბერი ასე ლამაზად გაბედნიერდებოდნენ, თორემ იქნებ შეთანხმებოდა ვინმეს?! იქნებ თუშმევილას და კრპალეკსაც ან ქაჯაიასა და ლოპეს ნუნისს გაენაწილებინათ ოლიმპიური გამარჯვება?!

ამასობაში ოლიმპიადა ფინიშსაკენ მიდის. საქართველოს ჯერჯერობით ორი ოქროსი, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი აქვს. ლაშა ბექაური და ლაშა ტალახაძე ოლიმპიური ჩემპიონები მანამდე, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნები არიან ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, გურამ თუშმევილი და იაკობ ქაჯაია. ბრინჯაო აქვს ანტონ პლესნისი. ჩვენ ახლა თავისუფალ ჭიდაობასა და ძალოსნობაში ველოდებით მედლებს, მათ შორის – ოქროსაც. ოლიმპიადის დასრულებების შემდეგ, იმედა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველო პირველ 25 ქვეყანას შორის იქნება.

თავაზ ნატროშვილი

ორი თქველაა

ვარიაციები ნიგინიდან „მაზრიყით მაღრიგამდე“

„მან თითისტარი შუბად აქცია“

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გამოჰყვა ჩვენს მესხიერებას დაუფინყარი სტრიქონები: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირ-მცინარი...“ ანდა კიდევ უფრო დაუფინყარი: „თამარს ვაქებდით მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული...“

მაგრამ მარტოოდენ ქართველი პოეტები როდი ასამდნენ ხოტბას თამარ მეფეს. გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი თავის ერთ ლექსში მეზობელი საქართველოს ძღვევამოსილი მეფე-ქალის შესახებ წერდა: „მან თითისტარი შუბად აქცია, ჩვენ კი შუბი ვაქცით თითისტარად“.



გეტყობა, ნიზამის ლექსი არ ჰქონდა ნაკითხული რუმის სულტანს, ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ კარგად ცნობილ რუქნადინს, როდესაც თამარისადმი ნერილში უტიფრად აცხადებდა: „ყოველი დიაცი რეგენია“. მთელ საქართველოს მოსაპოვებელი ემუქრებოდა და ქართველებისაგან ითხოვდა დამორჩილებას და გამაჰმადიანებას. რუქნადინმა თამარს ისიც შემოუთვალა: შენს რჯულს თუ დაუტყვევ, ცოლად შეგიერთავ და თუ არ დაუტყვევ, ხარჭად აგიყვანო.

უნდა აღინიშნოს, რომ რუმის სასულტანომ განსაკუთრებით გაითქვა სახელი სწორედ რუქნადინის დროს. აღმოსავლური წყაროს ცნობით, მცირე აზიის სელჩუკთა ძლიერებას საზღვარი არ ჰქონდა და „რუქნადინის სულტნობით ქვეყნად დიდებული ხანა დაიწყო“.

აბგიციები და კრახი

აი, რას წერს იბნ ბიბი: „საბოლოოდ, რუქნადინის გულში დაიბადა სურვილი ქვეყნიერების დაპყრობისა და მან გადაწყვიტა, მოეწყო საღვთო ომი საქართველოს წინააღმდეგ. მიზეზი იყო შემდეგი – თამარმა, საქართველოს მეფემ, რომელიც მბრძ-

ნებლობდა საქართველოსა და მის სატახტო ქალაქ თბილისზე, და გააჩნდა ძალაუფლება ბრძანებისა და დაკრძალვისა, შეიტყო, რომ სულთან ყილიჯ-არსლანს ჰყავდა თორმეტი ვაჟი, რომელთაგან თითოეული იყო მშვენიერი, ვითარცა მთვარე ცაში და მომხიბლავი, როგორც ხელმწიფე დედამინაზე. შესაბამისად არაბული ანდახისა, რომელიც მეტყველებს, რომ ქალებს აქვთ ბუნება მიდრეკილი ვენებისაკენ და სადაც კი იპოვიან პირმშვენიერი ვაჟის კვალს, იწყებენ სამიჯნურო სიმღერას: „ზოგჯერ ყურს შეუყვარდება თვალთ დახახვამდე...“ მან გაგზავნა რუმის ქვეყანაში მხატვარი და თითოეული უფლისწულის სურათი დაახატინა. ყველაზე მეტად იგი მიიზიდა რუქნადინმა და შეუყვარდა მისი სურათი. ამიტომაც შეუთვალა ყილიჯ-არსლანს თხოვნა დამოყვრებისა. ყილიჯ-არსლანმა გააცნო თავის ვაჟს საქმის არსი და ჰკითხა: რას იტყვი ამ წინადადებაზე. მაგრამ რუქნადინი აღივსო რისხვიითა და ზიზლით, გამოხატა უკიდურესი უკმაყოფილება და თქვა: „როგორ შეიძლება სამყაროს მბრძანებელმა დაუშვას ჩემი წასვლა ქართველთა ქვეყანაში, ურწმუნოებისა და გარყვნილების ადგილას, სადაც არის მსუბუქი ცხოვრება და ბინიერ სურვილთა სილაღე. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ მალე „ალაჰი გვიბოძებს დიდ ნადავლს“ და ეს აღსრულდება ქართველთა ქვეყნის დაპყრობით. მე მოვანყობ ლაშქრობას, იმ ქვეყანას გავაცამტვერებ და ხელმწიფის სასახლეში მოვიყვან სამარცხვინო ტყვეობის ხუნდებით შებოკილ თამარს“. შვილის ასეთი კეთილშობილება ესიამოვნა სულტნის სულსა და გულს, მან შეაკო იგი და პატიება სთხოვა. იბნ ბიბის თხზულების მომდევნო თავში აღწერილია რუქნადინის მარცხიანი ლაშქრობა საქართველოზე (ე. ი. ბასიანის ომი), განხორციელებული მამის სიკვდილის შემდეგ. კადნიერი სულტანი თავად ძლივს გადაურჩა „სამარცხვინო ტყვეობის ბორკილებს“.

„რა უთქვამს, რა მოუზმანას?“

ახლა ყური ვათხოვთ „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ეპიზოდს, სადაც გადმოცემულია თამარის პირადი ცხოვრება. ქართველი მემკვიდრე გვაუწყებს თამარზე გამიჯნურებული ოვსთა მეფის სიკვდილს, გამოწვეულს თამარის უარით და დასძინს: „და სხვანი რაოდენი ხელმწიფეთა ძენი ახისთვის გაჭრით გამიჯნურებულნი და ხელმწიფონი ვერლარა სიმობდეს სურვილსა მისსა, ქვემოთ სიტყვამან საცნაურ ჰყოს“. შემდეგ სათითაოდ ჩამოთვლილია თამარის ხელის მძიებელნი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზისა გამო ვერ აისრულეს წადილი და გაუცრუვდათ იმედები. აი, ვინ იყვნენ ისინი: ძე ბიზანტიის კეისარ მანოილსა; ძე ანტიოქიის მთავრისა; ძე სულტან ყიზილ-არსლანისა, რომელიც მამამ დააკავა, რათა გადაერჩინა რჯულის ღალატისაგან. და კიდევ – მუტაფრადინი, არზრუმის გამგებლის ძე, რომელიც არ იქნა მიჩნეული თამარის ღირსეულ საქმროდ (მიუხედავად გაქრისტიანებისა), და კიდევ – შირვანშაჰი აღსართან, თამარის სიყვარულით მზად რომ იყო მაჰმადის რჯულზე უარის სათქმელად, მაგრამ ისიც ამაოდ დაჰმერა.

ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი მარიუს კანარი იმონებს ზემოთ მოტანილ ინფორმაციას ქართული წყაროებიდან და შენიშნავს, რომ უზარმაზარი უფსკრულია მაჰმადიანი მემკვიდრის აყვავობასა და ისტორიულ სინამდვილეს შორის, „მაჰმადიანური მწერლობის ყირამალა აყენებს ფაქტებს“, – შენიშნავს იგი და ერთგვარ შურისძიებად მიიჩნევს იბნ ბიბის, რბილად რომ ვთქვათ, ფანტაზიას. ფრანგ ორიენტალისტს არც უკვირს ის გარემოება, რომ უიმედოდ ძღუეულნი ცდილობდნენ გაეშავებინათ ძღვევამოსილი მეფე-ქალი, ვისგანაც იგემეს მარცხი, და ქალისაგან მარცხი მართლაც არაჩვეულებრივი და შემადარსებელი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანთათვის. მ. კანარი იქვე დასძენს, რომ მაინც მოსალოდნელი იყო მეტი კეთილშობილება მაჰმადიან ისტორიკოსთაგან, ვინაიდან საქართველოს ქვეშევრდომთა შორის მრავლად იყვნენ მაჰმადიანები და ისინი სარგებლობდნენ ერთობ ფართო ავტონომიით. ფრანგ ორიენტალისტს არც

ის ავიწყდება, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა დაამყარა თანასწორობის ატმოსფერო ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის, და ქორწინებანი მაჰმადიანი უფლისწულებისა ქართველ ქალებზე არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. მ. კანარი აკვირდება იმ ფაქტს, რომ იბნ ბიბის ცნობა ეხება ყილიჯ-არსლანის ზეობას, რომელიც მთავრდება 1188 წელს და შენიშნავს, რომ სწორედ XII საუკუნის 80-იან წლებში ქართველთა მმართველი წრეების წინაშე მწვავედ იდგა საკითხი თამარის დაქორწინებისა, რადგან დედოფლისათვის აუცილებელი იყო მემკვიდრე – მომავალი მეფე საქართველოსი. მ. კანარის ვარაუდით, ეგებ, სწორედ მაშინ მოინდომა რუქნადინმა თამარის ცოლად შერთვა, უარი მიიღო და ეგებ ამიტომაც თხზავს იბნ ბიბი თავის დაუჯერებელ თქმულებასო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა მიერ მხატვრის გაგზავნა სატრფოს სურათის დასახატავად – საკმაოდ გავრცელებული მოტივია აღმოსავლურ ლიტერატურასა და ფოლკლორში. ასე რომ, იბნ ბიბი რუქნადინზე თამარის გამიჯნურების ფანტასტიკურ ეპიზოდს მექანიკურად მიუხადავა აღმოსავლური მწერლობის ტრადიციული სიუჟეტი.

...ღვთის წყალობით, იბნ ბიბის სიცრუე პირველად ფრანგმა მკვლევარმა დაგმო, ჩვენ როდი გამოვივლინა თავი. ერთი სიტყვით, ისტორიული სინამდვილე სულ სხვაა, ვიდრე იბნ ბიბის თხზულებაში გადმოცემული თქმულება, და სიმართლეს ვერ გააქარწყლებს ცილისმამბე სირცხვილმანამი სულტნის მემკვიდრისა. მართლაც რომ, რუსთაველისა არ იყოს, რა უთქვამს, რა მოუწმამხავს, რა ნიგინი დაუნერია!

რატომ? რატომ? რატომ?

რუსული თქმულება ივერიის დედოფალ დინარაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა მეცნიერთა კვლევის საგანი. მისი შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ქართველოლოგს, მარი ბროსეს და ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევარს, ან განსვენებულ იასე ცინცაძეს. ხაზგასახსნელია, რომ სწორედ მ. ბროსეს ნაშრომთა გამოქვეყნებამ გამოიწვია ძველი რუსული ლიტერატურის სპეციალისტთა ბუნებრივი ყურადღება და დანიტერესება, რომელიც დღემდე არ შენელებულა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

თქმულების გაცნობისას მკითხველს მრავალი შეკითხვა შეიძლება წამოეჭრას, ზოგიერთ მათგანზე ამომწურავი პასუხია გაცემული, ზოგი კი ამოუხსნელი რჩება. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წავიყვანდა. საინტერესოდ დავიმოწმებთ ორივე მათგანი: რატომ გადაკეთდა თამარის სახელი რუსულ თქმულებაში? (მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „დინარა“, ძირითადად, უნდა გულისხმობდეს თამარ მეფეს); „თქმულება დინარაზე“ ბერძნულიდან არის ნათარგმნი თუ რუსული ლიტერატურის ორიგინალური ძეგლი? (საბოლოოდ, გაზიარებულია მეორე ვარაუდი); რატომ არის სპეციალი თამარის მამის სახელიც? (ეგებ, შევხებით „ალექსანდრე“ გიორგის ნაცვლად, გამოძახილია იმ ფაქტისა, რომ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ზეობის წლებში (1476-1511 წ.)).

მ. ბროსე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თუ ვიხელმძღვანელებთ თქმულებაში გადმოცემულ ამბებსა და საქართველოს ისტორიის მონაცემებს შორის ზუსტი ანალოგიების ძებნის პრინციპით, ამით ვერაფერს მივალწვეთ, ვინაიდან „თქმულება დინარაზე“ მხატვრული ლიტერატურის ძეგლია და არა – საისტორიო თხზულება.

მ. ბროსე მიიჩნევდა, რომ რუსულ თქმულებაში ასახულია შამქორის ომი (1195 წ.), ითვალისწინებდა რა „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ცნობებს.

პირველად ი. ცინცაძემ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ხსენებულ ძეგლში ასახულია არა მარტო შამქორის ომი, არამედ თამარის ეპოქის სხვა ბრძოლებიც და მნიშვნელოვანი მოვლენებიც. ი. ცინცაძის მოსაზრებით, რუსულ თქმულებაში თავისი ადგილი უპო-

ვია ბასიანის ომსაც. მკვლევარმა მთელი რვა არგუმენტითან ერთად ისიც მრუთითა, რომ XII-XIII სს. ქართულ საისტორიო წყაროებში სახელწოდება „სპარსი, სპარსელი“ ვრცელდება თურქ-სელჩუკებზეც და იქვე დასძინა, რომ ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გამხდარა ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილთან საუბრების დროს.

მაინც ბასიანი

„თქმულება დინარაზე“, ძირითადად, უნდა ასახავდეს ბასიანის ომსა და მის წინარე მოვლენებს ანუ რუქნადინისა და თამარის დაპირისპირებას. ამას მეტყველებს თქმულების უმთავრესი დეტალები: ელჩობათა გაცვლა-გამოცვლა, „სპარსეთის მეფის“ ძლიერება და წრეგადასული გულზვიადობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ რუქნადინის მაგალითით იქნებოდა შთაგონებული, იმ რუქნადინისა, რომელიც „უმალღეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა“. რა თქმა უნდა, თქმულებაში მოტანილია ზოგიერთი დეტალი შამქორის ომის აღწერიდან. ისევე, როგორც აღნიშნა ქართველთა მიერ თავიანთი აღებისა, რასაც ბასიანის ომიდან შვიდი წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი. მაგრამ რუსული თქმულების ლაიტ-მოტივი გახლავთ ქრისტიანული საქართველოს ბრძოლა მაჰმადიან აგრესორთან, რომელიც დაპყრობით ემუქრება მას და სასტიკად მარცხდება გადაწყვეტ ომში. თამარისდროინდელ საქართველოს ისტორიაში კი ასეთი მოვლენის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია რუქნადინის გამლაშქრება საქართველოზე და ბასიანის ომი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თქმულების ავტორს მარჯვედ შეურჩევია ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან და დაუმუშავებია იმ იდეათა შესაბამისად, რომლებიც აღეგნებდა იმდროინდელი რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. თქმულებაში მოცემულია იდეალური სახე ქვეყნის ბრძენი მმართველისა და სამშობლოს მამაცი დამცველისა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ, რუსი მემკვიდრის ცნობით, ყაზანის აღებისას (1552 წ.) თვით ივანე მრისხანემ თავისი ჯარის გასამხნეველად წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვაში მისაბამ მაგალითად დაასახელა ივერიის დედოფალ დინარას სიმამაცე.



„საპიზიტო გარათი“

მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ „თქმულება დინარაზე“, როგორც ჩანს, რუსეთში ძალზე მოსწონდათ და ხშირად იხსენიებდნენ ოფიციალურ აქტებში. ასე მაგალითად, 1619 წელს რუსეთში ელჩად წარგზავნილმა ქართველმა მიტროპოლიტმა ხარიტონმა მოახსენა რუსეთის ხელმწიფეს, რომ ყიზილბაშთაგან დევნილმა თეიმურაზ I-მა თავი შეაფარა იმერეთს და იქვე საჭიროდ ცნო განემარტა, რომ იმერეთი სწორედ ის მხარეა, „სადაც განისვენებს დედოფალ დინარას ნეშტი“ (მაშასადამე, იგულისხმება ქართული წყაროს ცნობა თამარ მეფის გელათში დაკრძალვის შესახებ). ეტყობა, ქართველმა ელჩმა კარგად იცოდა, რომ ოთხი საუკუნის წინათ გარდაცვლილი დედოფალი დინარა ანუ თამარ მეფე გაცილებით მეტად იყო ცნობილი რუსეთში, ვიდრე თანადროული იმერეთი.

ქართველი ელჩებისა თუ მეფეებისათვის კი რუსული თქმულება სახელოვან ქართველ დედოფალზე წარმოადგენდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებურ „სავიზიტო ბარათს“, როდესაც ისინი ჩადიოდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში მაჰმადიან აგრესორთა მიერ გარშემორტყმული საქართველოდან და ითხოვდნენ პოლიტიკურ დახმარებას. მაგრამ „დინარას“ წყალობით, ისინი უგვარტომო მოხვნელები როდი იყვნენ, არამედ ავებდობის შედეგად გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნის შვილები, იმ ქვეყნისა, რომელსაც ოდესღაც განაგებდა რუსეთში ეხოდენ პოპულარული დედოფალი, მედროსი მედროსე მათი საერთო მტრის – მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხატვარი ივანე ნიკოლაძე

კოზა ცხაკაია

განსჯა დღესასწაულის მოსაწყობად

მაშინ გათენდა ჩემი დაბადების დღე. ის ხუთი წლისა და ოთხი თვის გახდა, მე კი ოცდახუთისა. ეს იყო ჩვენი საერთო საიუბილეო დღე.

თითქმის ორი კვირა არ მენახა და ერთ-მანეთს დანატრებულ-ჩახუტებულები ტბის გაუქმებულ გადასახტომზე ვიდექით. ეს იყო ჩვენი საიდუმლო სათვალთვლო ბაქანი, გენბავთ, კაპიტნის კოშკურა. აქედან ვუყურებდით მთელ სამყაროს.

შოკოლადისფერი, გოგირდის სუნინანი ტბის ზომები საკმაოდ შემცირებულ-შემჭიდროებულიყო. უწინდელი წყალზე ნაპირის ზოლს მხოლოდ გამხმარ-დაქუცმაცებული წყალმცენარეები და ახსოვდა. ტალღები თითქმის მონოტონურად ბობოქრობდნენ, მხოლოდ ზოგ-ზოგჯერ წამოყოფდნენ თავს, გახედდნენ ატორტმანებულ ზედაპირს, აიქორებოდნენ, მერე კი პაერში დაიშლებოდნენ წერტილ-წერტილ შეფეხვად და ქვიშასავით ეფინებოდნენ ქარისგან აღღვებულ ტბას. ზუსტად და სისინება ხეობიდან წამოსული ჰაერის ნაკადი. ხელები, გავაშლევინე, მოსასხამის კიდები აფრებოვით დაებერა და ცაში მონარნარე მიმინოს დაემგვანა. არ ციოდა, გრილოდა. მიუხედავად ამისა, ამდენი სირობისა და სიცილისაგან ორივეს გვცხედლოდა. იმიტომ, რომ „ერთმანეთს ვბრანავდით მონატრებით და ისყვარულით“.

ნახე, როგორ უბერავს? მათა! - გააღო პირი, ვიგრძენი, როგორ დაუბერა ლოყები ქარმა.

გიყვარს ქარი?

მაააა-მააააა! - იძახდა და ხარხარებდა. ველარ სუნთქავდა, ცხვირი სულ საგვე ჰქონდა „დესანტი“. ასე ვეძახდით იმას, რაც ნესტობიდან ლამის წურწურით ჩამოსდიოდა. მოვიმარჯვებდი ცხვირსახოცს და ვუბნებოდი „აბა, ჩამოსხი დესანტი“. ისიც ღრმად ჩაისუნთქავდა და მთელი ძალით გა-მოუშვებდა ჰაერს, გამოდენდა, „ჩამოსახამ-და“ მთელ უღვინტებს (ეს სიტყვა არც ერთს არ გვიყვარდა, „დესანტი“ კი სხვანაირად უღერდა - მეკობრულად, პარტიზანულად, სათავგადასავლოდ).

როცა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვუღე, ყვითელი ზუზუნი ამოჰყვა.

„ეს რა არის?“ - ვკითხე.

„ეს შენა ხარ, როცა არა ხარ!“ - მიპასუხა და ლოყაზე მიჩქმიტა.

ზუსტად ისე, როგორც მე ვუშვრებოდი ყოველი შეხვედრისას.

იმ დღეს ყველა და ყველაფერი ჩვენიანი იყო. იმდენად კარგად ვიყავით, რომ ბედნიერება უჩვეულოდ არ შექცეოდა და არ გვცილდებოდა. ის ჩვენი იყო!

დღეს ჩემი დაბადების დღეა? არა, ეს იყო წუხელ, ეს იყო გუშინ. ეს... იყო და ახლა აღარ არის.

„დღესასწაულის მოსაწყობად მხოლოდ ისაა საჭირო, ვის სულშიც დღესასწაულია!“ - ჩემთვის ვფურტუნებ და ფანჯარაში უაზროდ ვიყურები. სარეკლამო პლაკატი თითქმის მთლიანად ფარავს ავტობუსის მინას. წვრილად დასვრტილი მოვარდისფერი კრემი ვერ ეტყვა ქალაქის ქრელ ჭიქაში და, ალბათ, სადაც ქვევით, ბორბლებთან იღვრება. არ მიყვარს, როცა ისედაც პირქუში არეზარე კიდევ ამ კრეტინული ბანერით მუქდება და ნახევრად გამჭვირვალე გისოსების შეგრძნებას ტოვებს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მწვანე საკანი რბილად მიაპობს ქალაქის ცენ-ტრალურ ქუჩას და გზადაგზა კრეფს გაჩერებებზე კანტიკუნტად მიმობნეულ მყავისასთან მგზავრებს. ეს პერიოდი ყველაზე ჭეჭყყანი, გაურკვეველი და მძიმეა ყველასთვის. არც გაზაფხულია, არც ზამთარია; არც ცხელია, არც ყინავს; არც დარია და არც ავდარი; არც სიხარულია და არც სევდაა. „შუაობაა!“ უცხვირპირო, მძიმე, მონოტონური და ნერვების დამწყვეტი.

„გაუგებარი პერიოდის გაურკვეველი ამინდი. პერიოდი არის ანმყო? თუ ასეა, მაშინ ამინდი არის ანმყო ხასიათი... აქაც გაურკვეველობა, იქაც გაურკვეველობა?! სისულელეა ყველაფერში კავშირების ძიება“. ავტობუსის ამ ნაწილში მარტო ვზივარ. აქ „მუხლის მოხრას“ ძირითადად ჩემნაირები ერიდებიან, მაგრამ, როცა არავინაა, რატომაც არ უნდა დავიკავო ადგილი? მერე რაა, რომ სკამების საზურგეებზე ინვალიდებისა და მოხუცების სილუეტებიანი მინიშნებებია. დაჯდომა მეც ხომ მინდა? მაინცდამაინც უნდა დავბერდე ან დავსაბიჩრდე იმისათვის,

რომ რამდენიმე გაჩერება საზურგეს მიყუდე-ბულმა და კუნთებმოდუნებულმა გავატარო? დიდხანს მარტო ვმგზავრობ, მაგრამ, აგერ, ორი კუდრაჭა დასკუბდა ჩემ წინ. ბიჭებივით კი აცვიათ და თმებიც ისევე აქვთ შეკრეჭილი. მოკლედ და აბურძღვნილად, მაგრამ ფლომასტერებით დათხუნილი ხელებზე ეტყობათ, რომ გოგონები არიან.

გინდათ, რომ დაბრმავდეთ? - ცოტა მკაცრად გამოვივიდა. მჭახედ.

ჩემს შეკითხვაზე დაიძახნენ და წარბებს ქვემოდან მესროლეს ჭიკარტებივით მზერა.

ჰოო, რა, არ გიშლიან სახლში უფროსები ტელეფონებში კირკიტს?

მიხვდნენ, რას ვუბნებოდი, გადახედეს ერთმანეთს და ჩაიკისკისეს. მოკლედ და ხალისიანად. შოლტის მოქნევასავით გაისმა მათი წკრიალა და ოდნავ ხრინინანი ხმა.

მერე ავტობუსის ბოლო გაჩერებამდე ისევ მარტო ვარ.

მე, ტბა, ქარი და გაუგებარი წელიწადის დრო. წელიწადის გაუგებარი დრო. დროის გაუგებარი წელიწადი. გაუგებარი დროის წელიწადი.

ირგვლივ ბალახის, ფოთლების, მინისა და კიდევ - მხოლოდ აქაურობისთვის და-მხასიათებელი მწკარტე სუნი დგას. ზემოთ ავიხედე. ცა ჯერ ისევ ბნელია, მაგრამ მის კიდებზე უკვე გახუნებული მოლურჯო ფერი იკვეთება. ერთი ობლად დარჩენილი ღრუბელიც კი არ ჩანს. გული მწყდება. მოქუფურული ცა უფრო მამშვიდდება, ვიდრე კამკამა, მაგრამ მაინც ღამით მოცული ცის კაბადონი, უღრუბლო სივრცე იმედს იძლევა. მე არაფრად მჭირდება ეს იმედი.

აღრე სახურავი იყო... ახლა აღარ არის... ზევით სიტარეღე! - ვამბობ და მსუბუქად მოჭერილ ჰალსტუხს ვიხსნი. ასფალტზე გაჩენილ გუბებში ქუჩის ფარების შუქი და ჩემი ლანდი ლიცლიცებს.

მონევა მომინდა, მაგრამ არა მექვს - ამ სამი წლის წინათ მოვნივ ბოლო სიგარეტი. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენ, როგორც იქნა, დავამთავრეთ გაურკვეველი „შუაობა“ და დავმორდით. დავმორდით, რათა იმ პატარა კუნძულზე, კუნძულთან, კუნძულისათვის გვეთამაშა ნორმალური ადამიანების როლი. კუნძული, რომელიც ორივეთვის (ჩემთვის და ჩემი ნაცოლარისთვის) დღესასწაული იყო; კუნძული, რომელიც გუშინ, წუხელ ექვსი წლისა და ოთხი თვის გახდა.

ხელი ჩავიქნე და ტბის გასწვრივ მიმდებარე პარკისკენ ტუნძულით წავედი. ჩემი ზამშეს მოკასინები ნაკლებად ჰგავდა სპორტულებს, მაგრამ უპრობლემოდ მიტყაუნობდნენ უსწორმასწოროდ დაგებულ ასფალტზე.

როგორაა - ჩემი ზამშეს მოკასინები, თუ ზამშეს ჩემი მოკასინები?

ასფალტს გუბებზე დაედო ათასი თვალი და მხოლოდ ზევით, უსახურავო ცისკენ იყურებოდა. სანაყინე ჯიხურთან გავჩერდი. ძლივს ვსუნთქავდი.

დაღლილობის გამო არა. არა დაღლილობის გამო.

მარტობა ხომ მწვერვალზე ყოფნაა. მარტობა ლამის ხელმწიფობას ნიშნავს! ჰოდა, რატომ სტკივათ გული მარტობის გამო? მარტობა თავის უფლებას! თავის უფლებას მარტობას! ჰა-ჰა-ჰა!

სულ მალე ჩემ უკან ნაბიჯების ხმა გავიგონე. ერთი, ორი-სამი; ერთი, ორი-სამი; ერთი, ორი-სამი. ასე მხოლოდ „ის“ დარბობდა. ქალი - მუდმივად შარვლით. შარვლიანი ქალი. ქალი „გამი“. ქალი, რომლის ფეხები არავის უნახავს. ქალი გამოცანა, რომლის პასუხი შარვლით დამალულ ფეხებშია. ერთი, ორი-სამი; ერთი, ორი-სამი; ერთი, ორი-სამი. ვიცანი და მეც დავიძარი; გვერდიგვერდ აღმოვჩნდით, მაგრამ არც კი მივსალმებოვართ.

უზრდელები არა ვართ, მხოლოდ თავს ვიფასებთ!

როცა სპორტულ მოედანზე გავედით, ნისლით გაჯერებულ ტბის სანაპიროზე კაცის ჭაჭანებაც არ იყო. ჯანმრთელობის არაპროფესიონალურ სადარაჯოზე ჩვენ პირველები ვიყავით. გრძელი, ერთი თავით მაღალი ჯოხს დაათრევდა თან. ეს რომ არ

სტეროდა, აქაური, ჩვეულებრივი, საშუალო სტატისტიკური მოძუნძულე იყო. თუმცა არ დავუკარგავ - შოკოლადისფერ ოდრი პეპერნს ჰგავდა; ჩემს წარმოდგენაში კი კაკაოზე თუ ყავაზე დამყნობილი ლიმონი იყო.

ძვირფასო, ეგ კვერთხი რად გინდა? - ვკითხე მას შემდეგ, რაც ნახევრად გადათხრილ მოედანს რამდენჯერმე უხმოვ შემოვუბრინეთ.

ჰმ, საყვარელო, კარგი შეკითხვაა, - ეშმაკურად ჩაიციხა და კითხვითვე მომმართა: - შენ რატომ არა გაქვს ასეთივე?

იარაღი მირჩენია, - ვუთხარი მე. - მანქანაში დავტოვე. იმით ხომ არ ვირბენდი ამ კეთილმინწყობილ სტადიონზე?

ორივემ გავიცინეთ. ხმამაღლა, უაზროდ და მოურიდებლად.

მერე კვლავ დაუბერა ქარმა და ნისლი გაფანტა. არა, ჯერ ნიაზემ გაცრიცა მისი მოთეთრო კვამლივით საფარი და ტბის მართოლარე ზედაპირზე არეკლილი მზის ბილიკი დაგვანახა. მონუსხულები შევეყურებდით ამ ზღაპრულ ხედს.

„ჩემო კარგო“, ასე ვთქვით, ხომ არ გვეს-პარინგა? - უეცრად მკითხა.

აღრე არასოდეს გამოუვლენია ამდაგვარი ინტერესი და ამიტომ ცოტა შევცბი, მაგრამ დაეთანხმდი და ორივე გამოვრდევული ღობისკენ გავემართეთ. იქ, იასამინის ბუჩქებს შორის, ბალახითა და ნახევრით დაფარული პატარა მოედანია, ამდაგვარი ღონისძიებებისთვის განკუთვნილი „ადგილის დედა“.

აქ მივხვდი, რისთვის სჭირდებოდა ეს ჯოხი. საჭირო მომენტში მთელი ტანით დაანებოდა მას და შეხტომით გადაეღებოდა მტკავლის სიმაღლე დაბრკოლებას. ამას ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ ადამიანს ერთი შეხედვით ეგონებოდა - ეს ქალი მაგარ სპორტულ ფორმაშიაო, მაგრამ სინამდვილეში მას ერთი ფეხი ჰქონდა. აი, თურმე რას მალავდა შარვალი?! ერთი ნამდვილი ფეხი და მეორე ხელოვნური. „სამფეხა ერთფეხა“, - გამიფეხა თავში და გამეცინა.

რა მოხდა? - იმშუთასვე იკითხა და თვალი თვალში გამიყარა.

სულელური გამოცანა გამახსენდა.

სამი ფეხი აქვს და შავია. თან უკრავს.

რა არის?

სინთეზატორი! - ცალყბად მომხახლა და მოქნილი მოძრაობით საბრძოლო პოზაში დადგა ღლაბუცის თუ „სპარინგის“ შემდეგ, რომელიც არც კრეფი იყო, არც ჭიდაობა და არც კუნტფუ (მაგარი სასაცილოები ვიქნებოდით გვერდიდან საყურებლად, მე შარვალ-კუსტიუმში და ჰალსტუხში, ის კი თავისი სამი ფეხით).

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

სინთეზატორი! - ცალყბად მომხახლა და მოქნილი მოძრაობით საბრძოლო პოზაში დადგა ღლაბუცის თუ „სპარინგის“ შემდეგ, რომელიც არც კრეფი იყო, არც ჭიდაობა და არც კუნტფუ (მაგარი სასაცილოები ვიქნებოდით გვერდიდან საყურებლად, მე შარვალ-კუსტიუმში და ჰალსტუხში, ის კი თავისი სამი ფეხით).

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

ყოველთვის, როგორი სიციხეც უნდა ყოფილიყო, გრძელი შარვალი ეცვა. არადა, ბევრი აქ მოვარჯიშის დაკვირვებიდან გამომდინარე, მშვენიერი ფეხი (ები) უნდა ჰქონოდა. ამის არაღიარება და დაფარვა ნამდვილად დანაშაული იყო.

არასოდეს მინახიხარ მკაცრად...

ან სპორტულ ტრუსით.

მერე რა? - მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა.

რაიმე სვირინგი გაქვს? - დავიდებოდი თავი.

არა!

აბა, რა არის? რატომ მალავ ფეხებს? საიდუმლოა?

აბა, რა არის, რატომ მალავ, რაიმე საიდუმლოა? - გამომაჯავრა, მაგრამ მეტი არაფერი უთქვამს. პირველად შევამჩნიე, რომ ღიმლის დროს ძალიან მიმზიდველი ხდებოდა.

გისდება? შარვალი?

მერე ქარი ჩადგა და ცოტა ხანს უხმოდ ვისხედით ტბის პირას. ვუყურებდით, დროდადრო როგორ ჩნდებოდა წრები მის ზედაპირზე. ტბა თითქმის ჩურჩულდება.

ს ა ი დ უ მ ლ ო, - ჩაილიღინა და უცებ წამოდგა, შარვალი გაიხახა და... პროთეზი მოიხსნა. ეს ისე სწრაფად და ოსტატურად გააკეთა, რომ გააზრება ან გაკვირება ვერც კი მოვასწარი. საკმაოდ თამამი საცურაო ბიკინი ეცვა. მიუხედავად ყველაფრისა, მართლაც მშვენიერი, თლილი ტანი ჰქონდა. თავისი „კვერთხი“ შემომაჩენა და ლამის ჩურჩულით მითხრა:

შეგიძლია, ამასობაში დაათვალიერო... მაგარი რამეები გამოვიდა.

ვეცდები! - ვუთხარი და სულელივით გავიღმე. უხვივოდ ვცდილობდი ჩემი დაბნეულობის დამალვას. არაფერი გამოვიდა. ის ასაკინელათი შევარდა წყალში. პროთეზს შევხე, თბილი იყო. ცალფეხა ქალი კი დგაფუნ-დგაფუნით მიარღვევდა სარკესავით ზედაპირს; თითქოს მზის ბილიკზე მოხვედრას ლამობდა.

„დღესასწაულის მოსაწყობად მხოლოდ ისაა საჭირო, ვის სულშიც დღესასწაულია!“ - კიდევ ერთხელ გავიმეორე და თვალები დავხუჭე.

„როგორ გავიცანი? ჰოო. თავის დროზე თვითონ გამოიმეცნაურა. მიმტკიცებდა, რომ სტუდენტობიდან მიცნობდა. ვერ გავიხსენე, მაგრამ „არ გავუტყებე“ და დავეთანხმე. ფანჯრებისხელა თვალებით მიყურებდა. იქ სიტარეღის, მარტობის, კიდევ რაღაც არასასიამოვნო, მაგრამ მიმზიდველი ამბავი იყო ჩანერილი. აი, ისეთი რაღაცის, რაც, ალბათ, ყველაში არ ჩანს, მაგრამ, ეს სწორედ ჩანს, შენთან ხდება, იმიტომ რომ, ეს დინახე...“

...ერთი - ორი, ერთი - ორი, ერთი - ორი, ცალფეხა ქალი ჩემკენ მოხტის, გზადაგზა ყურში შესული წყლის გამოდენას ცდილობს, „ააააა“-ს იძახის, თან ეშმაკურად იღიმება...

რას იტყვი? - მკითხა მან და ჯოხს გახედდა. - ხომ კარგია? ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო რამ გამოვიდა.

ალბათ.

სანამ დაჯდებოდა, პერანგით ტანი გაინმინდა და წარმოუდგენელი სისწრაფით მიიმაგრა პროთეზი, ამოიცვა შარვალი და ისევ ორფეხა, მიმზიდველ ქალად იქცა.

ყავას დალევდა კაცი, - ვთქვი და შარვლის ტალახიან ტოტებს დავხედე. შვილი ხომ გყავს? - მკითხა მან.

მწარედ გამეცინა.

„რა შენი საქმეა?!“ არაფერი მითქვამს, არც ვუყურებდი, მაგრამ ვგრძნობდი, თვალს არ მაცილებდა, ბოლოს თავი გადააქნია.

ძნელია, ძალიან ძნელი! - თქვა და გაიხმორა. გადაიხნიქა, გადაეფინა სკამის საზურგეს და -

„რა სისულელეა ჩემი აქ ყოფნა!“ - უხმოდ ვეჩხუბებოდი ჩემს თავს. გაუნძრევლად.


როცა გავხედე, ქანდაკებასავით იჯდა სახეზე თანამგრძობი და განყენებული ღიმლით.

ისევ რატომ ცივა? რა უბედურებაა?! - ამოვიხრე, თითქოს ძალიან მანუხებდა უამინდობა. არაბუნებრივად გამოვივიდა, მაგრამ არც კი შეუმჩნევია, კისრის ვარჯიში დაიწყო. მეგონა, ჩემზე ფიქრობდა, სინამდვილეში კი... ინისა და იანის შესახებ გავიგონია?

ვინა, ვინა?

რა გოიმურია ეს „ვინა, ვინა“-ო?! ჰოდა, მანაც შორიდან მოუარა. ისე შემომხედა, ვითომც კაი ხნის წინათ დანყებულ ამბავს აგრძელებდა. თან თითების, ხელის მტევენების და იდაყვების გახურებას შეუდგა თვალდახუჭული. ენერგიულად ჩაისუნთქა, შეაკავა სუნთქვა, მერე დაამრგვალა ტუნები და ლამის სტევენით აპოუშვა პაერი. გაიმართა, მრჭულა თვალები და ეკვლუტად გამომხედა.

„ინი და იანი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ, მაგრამ მათ შორის მოხდა რაღაც და



მხატვარი იანო ნიკოლაძე

შეიძულეს ერთმანეთს. ურთიერთობის გაფუჭებაში ორივე იყო დამნაშავე, მაგრამ შერიგება იმმა პირველმა გადაწყვიტა. ჰოდა, ინი მივიდა იანთან, უთხრა: იან, გვეყო, რა, კინკლაობა, მოდი, შევირგდე და ისევ ერთად ვიყოთ!

იანმა ყური არ უგდო და ზურგი შეაქცია. იანმა ჩაიქნია ხელი და წავიდა.

გავიდა ხანი, დაიწყო იანის დევნა. ჰოდა, დაიჭირეს და მიუსაჯეს სიკვდილი. ამჯერადაც სცადა იანმა შერიგება. მიაკითხა საპრობოლეში, რაღაც საჭმელიც მიუტანა, დაუწყო:

გვეყო, რა? საიქიოს გზას ადგახარ და დაივიწყე წყენა და შემირიგდიო!

იანმა ყურიც არ შეიბერტყა, საჭმელიც კი მიუყარა და, მისთვის რომ არ ეყურებინა, კედელს მიაცქერდა. ძან დაწყდა გული იანს და ტირილი დაიწყო.

ეეჰ! ეეჰ! ეეჰ! -- მხოლოდ ამასლა ლულულულებდა.

ინს ყველა დასცინოდა:

თუ ქალი ხარ, შენ რა განადგულებსო! პატიებას სთხოვ იმას, ვინც ანი ვედარაფერს დაგიშავებს, რადგან სულ ცოტა ხანში ნი-ნილასავით ნააცლიან თავსო!

სასაცილოა, როცა უკვე არარაობად ქცეულს ხევენ შერიგებას და შენდობასო! ინი კი ეუბნებოდა:

არარაობა ჩვენ ვართ, ის კი უდანაშაულო კვდებაო!

ჰა და ჰა! ორი-სამი წუთიც და ჯალათის მახვილი გაიზუზუნებდა იანის კისერთან და ის უდრეკად შეხედებოდა თავის ხედვებს, მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდა სიკვდილმისჯილი ეშაფოტს, მით უფრო ეცლებოდა ძალა, კარგავდა ღირსებას და სიმამაცეს. ბოლოს კი დაემხო მინაზე და ქალივით აბლაგლდა:

შემინდეთ, არა ვარ სიკვდილის ღირსი. არაფერი დამიშავებია. უარყოფ რწმენას და რასაც მეტყვი, იმას ვცემ პატივსო. ნუ მომკვავთ, გემუდარებთო.

ინი სირცხვილისგან იწოდა და სთხოვდა: ნუ იძირებ თავსო! თავანუელი შეხვდი სიკვდილსო! ღირსეულად წარსდები ჯალათების წინაშეო!

შენ ხომ არ აფრენო?! - იანს შიშმა ყველანაირი ადამიანური უნარი დაუხშო. - გიხარია, ხომ, რომ მკლავენ და არც კი ვიცი, სინამდვილეში, რისთვისო! თუ კაია, ერთი შენ წარსდები თავანუელი და ღირსეული და მერე ვნახოთ!

მტვერში გორავდა და ბლაოდა, ირგვლივ მყოფები კი იცინოდნენ. ინი მივარდა ჯალათთან და ყველას გასაგონად განაცხადა: თუ მაინდამაინც უნდა მოკლათ ვინმე, მე მომკალით! მე ვარ დამნაშავე და არა ეს საცოდავიო! ჩემი ბრალია, ის რომ ასეთ დღეშიაო! ამიტომ გაუშვით ეგ უბედური და მე მომჭერთ თავი!

ასეც მოიქცნენ. გაათავისუფლეს იანი, ხოლო ინი საიქიოს გზას გაუყოფეს.

ვითომ დაასრულა ამბის მოყოლა და, როგორც ჩანს, უკვე ჩვევად ქცეული მომგებიანი პაუზა დაიჭირა. დარწმუნებული ვიყავი, ათამდე დათვლას არ მაცლიდა და თბრობას განაგრძობდა, მაგრამ შევცდი; ლამის ოცამდე მქონდა დათვლილი, როცა ხმა ამოიღო:

არ გაინტერესებს, მერე რა მოხდა? ინი წმინდანად შერაცხეს, ხოლო შერცხვენილმა იანმა ღრმა სიბერემდე იცოცხლა! - საკუთარ სიტყვებზე გაიცინა და დაუმატა: - ქალის გარეშე ისტორია არ იწერება! ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება. - ისევ დადუმდა.

პაუზები ჰყვარებია. ადამიანი შინაგანად ცარიელი არ არის, როცა შეუძლია, უხმოდაც საინტერესო იყოს.

მაინტერესებს, შენი აზრით, რაზე მიაწინებებს ეს ამბავი? - თვლებში ჩამხედა და იმდენად მომიახლოვდა, რომ მისი მკერდის სირბილე, სხეულის სურწელი და სითბო ვიგრძენი.

კაჭმირებს ვეძებ, - ხელით მთელი სივრცე მოგზაზე და მოვეხვიე. ქარი ამოვარდა, მისმა თმამ სახე დამიფარა.

მერე მენავის გაუქმებულ ჯიხურში ვისხედით, უხმოდ. ერთმანეთს ჩახუტებულები. ლითონის უანგისი სახურავიდან კი წვეთავდა. ქარის ყოველ დაქროლებზე კონსტრუქცია ტვინის წამლები ხმით „წუოდა“.

ჩემი აზრით, იანი და ინი კი არ იყო, არამედ იყო მხოლოდ ერთი - ინი ან იანი. ამ ერთმა წარმოიდგინა მეორე მხოლოდ იმისათვის, რომ დაენახა, რა იქნებოდა, იანს რომ აპყლოდა; შეადარა ეს იმას, რა იქნებოდა, რომ დაეძლია სიკვდილის შიში. ანუ იანი იყო ინი და ინი კი იყო ინი. იანმა აჯობა.

ცუდები არ არსებობენ, მაგრამ იმისათვის, რომ იარსებონ კარგებმა, ცუდები უნდა მოიგონო, - განვაგრძე მისი აზრი.

ან პირიქით!

ჩვენ შორის ვინაა ცუდი?

ვითარება! - მხრები აჩიჩა. შემრცხვა და გავბრაზდი კიდეც.

„მეტი უნდა დამელია! როცა იმდენს ვსვამ, რამდენიც გუშინ დაველი, სულ ასე მემართება! ბაიბაღად ნამყოფ ჩვარს ვემსგავსები!“ - გამახსენდა, რაც ვქენი, როცა „მასას“ მაგივრად დამხვდა საზიზღარი წერილი. ეს არ იყო „მასას“ დაწერილი. არ წავიკითხავ. არ წავიკითხავ. არ წავიკითხავ.

როდესაც მარტო ვართ, ნეტა, სინამდვილეში სადა ვართ? - თავი ამტკიცდა. არც კი ვიცოდი, რა მიშველიდა, მაგრამ არაფერი ვთქვი. ვითომ იმ „საშველს“ ვეძებდი და ვიბეებში დავინყე ფათური. „თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვიპოვე!“ და დავხუჭე თვალები. ჩემ ირგვლივ სივრცე ოთახებად დაიშალა, გამჭვირვალე კედლებით, მაგრამ მკაფიოდ განსაზღვრული მოხაზულობით და აქ, სადღაც მკაფიოდ გამოყოფილ ფართობზე, ჩვენ ვიყავით. აქეთ - ტბა, იქ სადღაც - ამინდისგან გაუქმურებული ქალაქი და ეს წერილი.

როდესაც მარტო ვართ, ნეტა, სადა ვართ? ყოველთვის ასეა! ცივა. ცივა. ცივა. ცივა. - თქვა მან კბილების კანკანით. - ტურნიკზე ავინევი და წავიდეთ? არ გინდა, ვცადოთ? ვნახოთ, ვინ აჯობებს.

ვცადოთ, - მივუგე მე.

აკვირვით ჩემი ძვლები და ყოფილ კარუსელთან იმპროვიზებულ ტურნიკს მივემანჯიტე.

ანევა ჩემთვის უფრო ძნელია, ამ ფეხის გამო, - თქვა მან. - ცენტრში ვცხოვრობ, იქაცაა სავარჯიშო ადგილები, მაგრამ მაინც აქ მირჩევნია. მიყვარს ნახევრად ველური გარემო. ტაქსით ამოვიდვარ, მერე ავტობუსით ვბრუნდები; ხალხი საინტერესოა. ისინი ვერ მამჩნევენ ან ვერ მხედავენ, მაგრამ მე ხომ ვხედავ. შეიძლება, ზოგიერთი მხედავს, მაგრამ მე ვერ ვამჩნევ, იმიტომ, რომ სხვებს ვუყურებ და არა მას, ვინც მე მხედავს. ჰმ! - ჩაახველა. - ასეა, ყოველთვის იმით ვუყურებთ, ვინც ვერ გვხედავს!

საინტერესოა!

მხედავ?

რატომ?

მართალი ხარ.

ისე მომინდა მისი ჩახუტება, როგორც მზის, სინათლის, სითბოსი. მაგრამ არა; ჩვენ ვაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც არაა მნიშვნელოვანი.

მის ჯოხს პროპელერით ვატრიალებდი. ვუყურებდი, როგორ ცდილობდა ტურნიკზე აზიდვა-გადატრიალებას. ფეხს უცნაურად იქნევდა, პროთეზი არ ემორჩილებოდა და წონასწორობას კარგავდა. მოსაწყვეტად გამზადებულ ფოთოლს ჰგავდა. ყვითელს, ნი-თელს, ზურმუხტისფერს; მხოლოდ არ ვიცი, რომელი ხის ან ბურქის, ეგებ, ყვავილის ან კაქტუსის? შემეცოდა და გამიხარდა, რომ არ ჩაუგებოდა.

აი, რა დღეში ვარ! - წუნუნებდა, ამ დროს კი ვითომ ვიღაცას ან რაღაცას საყვედურობდა.

ძალიან ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. არ ნებდებოდა. ბოლოს ჩამოხტა და ტურნიკის ბოძს მიეყუდა.

გმადლობ, რომ არ დამცინე და არ შემიცოდე. მეც ასევე თანაგვირძნობ, - არ მემჩონა ამ სიტყვების უკან დამალული აზრი.

დამიმტკიცე! - გაგბრაზდი, და ლამის კბილებში გამოვცერი; - დამიმტკიცე, რომ ისევე თანამიგრძნობ.

იცით, რა ქნა! მაკოცა. მისი კოცნა ტყვიასავით ცხელი იყო. კოცნამ ყველაფერი წაშალა.

„ტკბილად ნასროლი კოცნა ყოველთვის მიზანში ხვდება!“

ზოგი ჭკუას სწავლობს, ზოგი ბოროტდება! ვინც ჭკუას სწავლობს, ადარ ცდება; ვინც ბოროტდება, სხვას შეაცდენს!

შენ რომელი ხარ? - სახეზე მომეფერა და ტურნიკისკენ მიბიძგა. მთელი შემართებით ვემგერე ფოლადის გაპრიანებულ მილს.

დაწყება ენერგიული გაქვს, - თქვა და კიდევ ერთხელ მაკოცა, მხოლოდ ჰაერონად, შორიდან.

მერე ამინდი საბოლოოდ გაფუჭდა. სამყარო მოიქუფრა. ბინდი ჩამოწვა, მაგრამ არა ღამის, არამედ გაზაფხულის მწარე, გაბოროტებული სუსხისა. „ჩემი ოთახიდან“ გამოვედი და გაჩერებისკენ ნელა, ზღაპრით დავიძარი. ხეებს შორის კიდევ ერთხელ გავხედეთ ქარისგან აღინდლულ ტბას. სარბენი

ბილიკის ბორდიურზე შევდექით და მთვრალეზვით დავინყეთ ქანაობა. ქარისგან აღლევებულ ხეებს ებახავდით, თან წონასწორობის შენარჩუნებას ვცდილობდით. ვირხედით, ვიგრინებოდით, ვიხრებოდით. გვინდოდა, ამ საერთო მოძრაობის, ქმედების, რიტუალის განუყოფელი ნაწილები გავმხდარიყავით და დაგვემსხვრია, გავთავისუფლებულიყავით მარტოობის აუტანელი ნაჭუჭებისგან და მაინც ვერავის და ვერაფერს ვატყუებდით - ვერც ქარს, ვერც ტბას, ვერც ხეებს. ის თავის ჯადოსნურ კვერთხსაც იშველიებდა და იცინოდა, კისკისებდა, ხარხარებდა.

ჰოდა, მაშინ გავიფიქრე, რომ ხეების სიცილი, ეს მათი შრიალია. ალბათ, ტირილიც, უღერადობით სიცილი ხომ ძალიან ჰგავს ტირილს.

ორი - ინი და იანი გაერთიანდა. გაგვეერთიანა. გავეერთიანეთ. გავეერთიანდით. ხელს ვერავინ გვიშლიდა. ბუნება ჩვენი ნაწილი იყო. ჩვენ კი ამინდის, ჰაერის, ხეების, ბალახის, წვიმის წვეთების, მზის სხივების, გუბებში არეკლილი ცის ნაგლეჯების, ღრუბლების ნაფლეთების, ტბის, ქვების, ტალღებიდან გამოქნეული შხეფების, მასას... ჩვენ ერთიანი ვიყავით.

მერე; მერე სწრაფი ნაბიჯით გაუწყვეით საცალფეხო ბილიკს, რომელიც გაუთავებელ მაყვლნარში იკარგებოდა. მივრბოდით თუ მივჩანჩალდებოდით, მივბობლავდით თუ მივიპარებოდით, მივხტოდით თუ მივძინძულდებოდით ამ ეკალ-ბარდებში და ვლრილებდით - ვხითხითებდით - ვზმუოდით - ვიცინოდით - ვდუმდით. ზოგჯერ გვერდზე ვიყურებოდით, ზოგჯერ - პირდაპირ, ზოგჯერ - ზევით, უკან, ქვევით. ზოგჯერ კი ერთმანეთში.

კარგია, - იმეორებდა ის. - კარგია! ძალიან კარგია! - მერე კი კეკლუცად იკითხავდა: - ეგებ საკმარისია?

არა! - ვპასუხობდი. - ჩემთვის არა.

მერე რა უნდა ვქნათ?

ისევ გავიყოფით!

ზევით ავიხედე.

თითქოს ომია.

რაა?

ხელები გავშალე, ვიგრძენი, როგორ დამებერა პიჯაკის კიდეები, როგორ ამიტაცა ქარმა და ავხარხარდი:

ჰაჰაჰა!

ჰაჰაჰა!

მინაზე ფრენისათვის მარტო ფრთები არ კმარა, მაგრამ ჩვენ დაფრინავდით.

გაჩერებისკენ მივდიოდით და აქ როგორ მოვხვდით? - ვიკითხე გაკვირვებულმა.

ქარმა წამოგვიღო! - გაეცინა მას.

ნავსაყუდელი მოფენილი იყო სიმი კენჭებით...

მზად ხარ? - დავიყვირე, ავიღე კენჭი, დავიცადე, სანამ ისიც მოემზადებოდა.

კიი, - დავიყვირა მან.

მთელი ძალით მოვიქნიე:

წავიდაა!

ეს ოხერი, პირდაპირ ტბის ზედაპირზე გავასრიალე. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი. ლიფსიტასავით დახტოდა ოდნავ აქოჩრილ ტალღებზე, ტბის ზედაპირს სამართებელივით სერავდა. ბოლოს ერთ ადგილზე გაირინდა, დაბზრილდა და დაყვინა.

ააააჰ, - მომესმა მისი ყვირილი და ქვა ხტუნვა-ხტუნვით გასისინდა.

კიდევ! - დავიღრიალე და სხვა კენჭი ავიღე;

მერე ავტობუსში ვისხედით: გვერდი-ვერდ. თბილოდა. უთვალავი წვეთი გამჭვირვალე ბილიკებზე მიუყვებოდა დაორთქილი მინებს, რომლის იქით სევდიანი ქალაქის მქრქალი სიღუფე იფეთქავდა.

ადამიანები ისე რომ კედებოდნენ, როგორც უნდათ, მაშინ დედამინაზე სამოთხე იქნებოდა, ხოლო ადამიანი ანგელოზი, - ეს გადამტკბარი ფრაზა ისე ვთქვი, უმიზნოდ, სიჩუმისა და ავტობუსის ძრავის ხმაურის შესაღამაზებლად.

მხოლოდ ანგელოზები კედებიან ისე, როგორც უნდათ? - ირონიულად იკითხა მან.

ერთი, მაგათი კვერცხიდან გამოჩეკილი დედაც!..

მაგათი დედაც!..

კიდევ მინდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ დამეზარა.

ბუმტი გამახსენდა, ჯიბეების ქექვა დავინყე და ძლივს მოვიძიე. გატეხილ მობილურთან და ცირკის გაუქმებულ ბილეთებთან ერთად ჩამიტენია. ამოვიღე და გავებე. ლოყაზე მივიდე. სველი იყო, თითქოს ახლახან იტირაო.

დღესასწაულის მოსაწყობად ხომ მხოლოდ ისაა საჭირო, ვის სულშიც დღესასწაულია?



მარიამ ცვეტავეა მომწონს, რომ ღებით წრს ხარო სჯავ

მომწონს, რომ ჩემით არა ხართ ავად, მომწონს, რომ ავად არა ვარ თქვენით, რომ მინის ბურთი დგას ფეხქვეშ მყარად და არც აპირებს, ჩაცურდეს ქვევით... ამ თავნებობის მომწონს უფლება - სიტყვით თამაშის რომ არ ვცნობთ ხერხებს, რომ განითლებაც არ მემუქრება, სახელის თქვენსას თუკი შევებე...

მომწონს, ჩემ გვერდით რომ არდევნე წესებს და არხინად სხვას რომ ეხვევით, რომ ჯოჯოხეთშიც არ გამამწესებთ, თუკი ტურებით თქვენ არ გეხებით, რომ თქვენ, ძვირფასო, ჩემს ძვირფას სახელს არ სწყალობთ დღით თუ ღამით სრულიად და ტაძრის დუმილს რომ არ დაარღვევს ჩვენთვის ნამღერი ალილია!..

გულით, ხელითაც მადლობა თქვენდა, რადგან გიყვარვართ, არც იცი, ისე! რომ ჩემს ღამებს სიმშვიდეს პფუნთ და რომ იშვიათად საღამოს მივსებთ, რომ მთვარის შუქზე ერთად არ დავალთ, რომ მზეც არ გვადგას ჩვენ სხივთა ფენით, რომ, ვაგლახ! - ჩემით არა ხართ ავად, რომ, ვაგლახ! - ავად არა ვარ თქვენით!..




ანა ახმატოვა

გათანგულმა შენი მზერის სიხარბით მეც ვისწავლე მთანგველ მზერის გაბმა, მე ხომ ერთ დროს შენი წვენი ვიყავი - როგორ უნდა არ მიყვარდე, აბა?

ყყოფილიყავ შენი ღალი დობილი - ოდით მაძვეს ბედის განაჩენი, მე კი გავხდი უძლები და ორპირი და უტკბესი გავხდი მონა შენი...

მაგრამ, როცა წყნარად მოვიკალათებ შენს თოვლივით მოქათათე მკერდზე, გული შენი ზეიმობს და ანათებს, გული მზეობს, მამულს მითბობს ეს მზე...

რუსულიდან თარგმანა ია სულაგერიძემ



ემხარ კვიციანი

ბევრი რამეა, აღარ ჩამოვთელი –
თავი რით დამხსომა.

**ანთონ გრეგორიძის
გაგვიტყოს**

გზა სულეთისა დაგელოცოს,
ანათებ, გითხრა სხვა მეტი რა!..
სიკვდილმა, შენმა, ანგელოზო,
გული ჩაგლიჯა, ამეტირა.

ასე მგონია, იგრძნეს მათაც –
ჩიტები ხეზე კანკალობენ...
ვნაღვლოთ, სიმაღლე ისმენს ცათა
შენგან აღვლენილ საგალობელს.

გზის სიყვარული იყო

ვზი აივანზე, ფრჩხილებს ვიქნი,
ბრუნდები, ურულოვ, პირვანდელი!..
გაშლილი მქონდა ლურჯი წიგნი –
დიდი ლურჯი პირანდელი.
გულო, ცრემლებით დაღებები და
მამცნობ, რა გადამიტანია...
მან დამანახა ალპებიდან
რომი, მარადი... იტალია.

**ნამდევნავს
მოგვიმზავლონებ**

გენიოსების რთველი გვიდგას...
აკაი განერელიას გამონათქვამებიდან

ბოლო მოელს ცრუ მითქმა-მოთქმას,
ითქვას გარეშე ჭორის –
ვინ უფრო მეტად გენიოსია
ჩვენს გენიოსებს შორის.

აპოლოგეტა მონადინება
ნამდვილად ღირდა გარჯად,
თუმც საქებარი ეპითეტები
თითქმის შემოეხარჯათ.

ამა საქმეში „ლექსის გამგებთა“
რჩეული რაზმი გვიძღვის;
საბედნიეროდ ჩვენდა, მატულობს
გენიოსების რიცხვი.

დაუხმარებლადაც შევძლებ

მოსმენას ველარ ავუდივარ,
ვიდეო მიჯობს აუდიოს,
თუ გადუქვითე გასაქცევი,
კაცმა საითკენ გაუტოვოს.
რამდენს ვეძებდი, ძლივს ვიპოვე
შესაფერისი გასართობი;
მე მინდა გაეხდე გენიოსი
საკმაოდ დიდი ალბათობით.

ვჩალიჩობ, არ ვარ მომლოდინე
ხელის ნაკერის და ნამატების,
სხვებმა რა სარმაც არ დამიდონ,
ჩემსას მივალწვე წარმატებით,
ნაზონმაც შეძლო ზოგი რამე,
თუმც გარს ესვივნენ სარმატები.

* * *

შენ როცა ველარ გიხილავ,
ალვის ცახცახა ტანო,
ნაჯავრი, ვერ დავიჯერებ,
ვინმეს არ დავენანო.

მინდება, ცად ავიტატო
ფოთლებასხმული ტოტი...
თუკი კაცურად შეხედეს,
მართლა ვარ შესაცოდი.

აპოლოტილს, მწვანედ გაბურულს
ის გაშრიალებს ასე;
კენწეროს ლუნვას, ზენა ქარს
ხელად ვცნობ დაბერვასზე.

თვალი ისედაც არ მიჭრის,
რას მეფარები, ბინდო,

ეს იგივეა, დახრუკულს
ცეცხლი რომ შემომინთო.

ან შევტვლიოვარ

თვალმა იცის, რომელი
შეარჩიოს საგანი...
ციდან რომ ჩამომესმის,
მომწვდა იმ ხმათაგანი.

მირჩევს – ბალახს ეფერე
და ყვავილებს მლიმართო,
სცადე, რაც გაბადია,
სიკეთისკენ მიმართო.

უფლი მინდორს, დაშხეფილს
უკვდავების წყაროთი,
სხვა სურვილი მოსასრავს
არ მქონია აროდის,
ჩემი დღე და მოსწრება
მწამდი და მიხაროდი.

რახნვეს გზიგოცობა

არ ვიცი, გაგწნდი რის მაძებარად,
კარგი არა მჭირს, ველი უარესს,
ერთი უბირი თავი მეზარა,
ვაგლახ, იმასაც ვერ მოვუარე.

წკირი ვარჩიე ფუტურო დირეს,
არ მწამს ყირაზე დგომის და ბუქნის,
ნელა გროვდება, ვჯვრდება მცირეს,
რასაც დროდადრო შემთხვევა მჩუქნის.

სისხლი ბებრისა ბლანტეა, შრება,
არ ვიმწნე, მითხრან, დახვალ ბეცადო,
საშველმა სხვებს ვერ მოგვარე შევება
და მაინც, ჩემსას უნდა ვეცადო.

ველოცობი

მინდა ვიხილო როსმე
ბევრზედაც ბევრად მეტი,
ასე დამტოვებს განა
დღეები, განასხლექტი?!

ზმა, უცხოდ მონაკაზმი,
ეგებ, ეზმანოს სხვასაც,
შეგატყობ ფერზე, ხმაზე,
თუ ოდნავ მოიხაზა.

დიდხანს მბოჭავდა რიდი,
ლერწამს, დარწეულს, ვჭრიდი,
იმ გატრუნული ტყიდან
გამოვიტყუო რითი?!


სინათლეს შეუჩვევი
ჩემსას ეჩვენოს თვალებს,
მას ვანაცვალე მთელად,
აქამდე რაც ვწვალე.

ამას ვეწმწათოცი

წლებს, უფლისაგან ნაწყალობევს,
რალათი აღარ მიმოტენი,
შეკრები, ორ სამყაროს შუა
განსხვავება იმოდენი.

იქაურობა რაგინდ აქოთ,
მუდამ მერჩივნა სააქეთო;
ძვრა ვერაფერმა რომ ვერ უყოს,
სცადე, ის შექმნა, გააკეთო.

ვიგერიებდი, მოვიშორე,
რა ჭირიც უნდა დამსეოდა;
ვიცი, თუ ჩემი ნება იქნა,
ფებს არ გავადგამ სამზეოდან.



ჯემალ ნიშვი

ყოველი, ატიცი

ბორჯომი
ლენტეხი
კოჯორი
მეტეხი
ცაგერი
უბისი
ნაღვერი
ურბნისი
რუისი
დმანისი
ქსუისი
ბნავისი
ბოლნისი
ტყვარჩელი
ყორნისი
დარჩელი
ოქუმი
ყინვალისი
სოხუმი
ცხინვალისი
ბათუმი
გუმისთა –
ქართული
გულისთქმა.

ქსთონ გამახსენდა

...ვინ გააჩერებდა უსაქმოდ კარდალას,
შიგ კარგა ხანია თუხთუხებს არტალა.

კი ბნელა, მაგრამ არ გვჭირია ბუს ხედვა –
ანთია პატრუქი და ტაბლას ვუსხედვართ,
რომელიც გამოსცემს სურნელს და ოხშივარს
ისეთს, რომ მაძლარსაც უთუოდ მოგშინვა.

ვიდაცამ როყოდ ნამოყარანტალა:
უფრო მეტ ნიახურს ითხოვს არტალა...

ღვთის სასმელს გვანვდიდა ჭურვიდან
ორშიმო,
დიდება, ქიანა, მშობლებო, ცოლ-შვილო.

ჯიმა, გომორძგუა, ოხვამე ისმოდა,
ღვინოც ხომ ისეთი იყო, რომ ისმოდა.

ნუ დააძალბებო, ბებია, ნორჩ გორელს,
აქ სტუმრის დათრობა არის ონჯლორე...

რა მშვიდად იძინებ ღუნღულა ლოგინში,
მარია ბებია ოდაში რომ გიშლის.

ვისხენებ ძველ ამბავს დიდებთან, ბავშვებთან
საყვარელ ჩემს ქსათან, ჩიტებთან, შაშვებთან.

იმ სიოს თხოვს ჩემი ასაკი შებერვას,
სიმხნევემ შემოპყრო გასაგიყებელმა,

რომ არც ჭა, არც გენის სანერგე მოშლილა
და დღეს ჩემს საფიცარ სამეგრელოში ვარ.

სჯამი

ბუზღუნებს მამა და მარჩენალი:
წყალში რად მიყრით, გასწავლეთ რაცო.
ცოდნა, არცოდნა – ამ არჩევანის
უფლებაც არ გაქვს, პირველო კაცო.
მონაცვლეობენ ბაღში ზოლებად
მწვანე, ნითელი, ლურჯი და თეთრი.
ყვავილებში დგას და იზმორება
შიშველი ტანი პირველი მდედრის.
შიში არ იცი, არ შეცბუნდები,
შამბში გველი რომ გაშლიგინდება.
ტკბილ შეგრძნებათა აღქმას უნდები
და ევა, როგორც ვაშლი, გინდება.

გურამ ბენაშვილი — 80

გამორჩენილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ბენაშვილი 80 წლისაა.

ვულგარულ ბატონ გურამს, ღირსების ორდენის კავალერსა და ქართული კულტურის დეპანს, ამ ღირსებასთან ერთად საიუბილეო თარიღს!

დიდ ქართველ მწერალთა მისი დაბადების დღისადმი მისი დაბადების დღისადმი მისი დაბადების დღისადმი...

აქვე ვაქვეყნებთ თვით იუბილარის უახლეს ესეებს...

ჭაბუა ამირეჯიბი

... შენ არა მარტო ქართული მწერლობის მოამბეობით დაიმკ...

მკითხველის წინაშე ჩანანერები, რომელთაც დრო-ჟამის სპეციფიკურ სურნელთან ერთად, ჩვენამდე მოაქვთ ადამიანთა ცხოვრების კოლორიტული ფრაგმენტები და, რა თქმა უნდა, თვით ნარატორის, ვითარცა მედიუმის მენტალური აურა.

ზუსტი დეფინიციებითა და სულის ფაქიზი ვიბრაციებით დაკრისტალებულნი, ისინი არსებითად ეგზისტენციურ პარადიგმათა არამარკირებული სპეციფიკით არიან აღბეჭდილნი.

სიმპტომურია ისიც, რომ ეს ყველაფერი წარმოდგენილია მაღალი ეროვნული ცნობიერებით განმსჭვალული აქტორის მონოლოგებით.

არის მის ტექსტებში ოდენ რომანტიკული აქცენტებიცა და ქვეყნის პატრიოტის იმპერატიული შეგონებანიც.

ყოფიერების „იდუმალ სიბრძნესთან“ განდობილი იცნობიერებს იგი საკუთარსავე იდენტობასა და მომავლის კონცეპტუალურ კონსტრუქტებს.

ბრტულადი გამომწვევების, მიმართ შეურთებელი და დროის „მარწმუნებელი“ რწმენით თავდახსნილი, იგი სამშობლოს თავისუფლების წყურვილითაა „ატიანილი“.

გვარწმუნებს, რომ, როგორც პიროვნება, მხოლოდ საკუთარივე ნებით იქმნის და იგემოვნებს ყოფიერების სულიერ „სალხინებელს“.

ასე და ამგვარად რეალიზდება მასში ინდივიდუალური ცნობიერების დისკურსი. მისი „დღიური“ ანალიტიკურ შემეცნებაზე პროექტირებული „პარტიტურა“, რო-

ვიდრე ღირსეული სახელი, არამედ როგორც ჩვენი ლიტერატურის უღრმესად მცოდნე და ანალიტიკოსმა...

... შენი სახით ქართული ლიტერატურის კვლევას დიდი მოღვაწე ჰყავს...

მურმან ლებანიძე,

... მიიღე ჩემგან უღრმესი მადლობა მამისგან ნაანდერძევი უსაზღვრო სათნოებისათვის...

... შენი დიდი ლიტერატურული ღვაწლისათვის...

ანა კალანდაძე

... თავიანთ ვცემ თქვენს ლიტერატურულ ტალანტს, პოეზიის „ლაბირინთების“ თქვენეული აღქმის დიდ ხელოვნებას...

შოთა ნიშნაიძე

... შენი ნაწერები იკითხება არა მარტო როგორც კრიტიკულ შეფასებანი, არამედ მათ აქვთ თანამედროვე ევროპული დონის ესეის სიმალე და მასშტაბურობა, ანუ ის, რაც ასე იშვიათია ჩვენს სინამდვილეში...

თამაზ ჭილაძე

... გენეტიკურადაც ლიტერატურული სამყაროს მკვიდრი, დიდი ქართული მწერლობის, ფაქტობრივად, სულიერი საქართველოს ღირსეული მოქალაქეა იგი...

ოთარ ჭილაძე

... ერუდიტი და უზადო ანალიტიკოსი, იგი იმ რჩეულთაგანია, ვინც თავისში ალზარდა და დაამკვიდრა ლიტერატურული

აზროვნების მაღალი კულტურა, ელევანტური განსჯა-ანალიზის ხიბლი და სუვერენული მოაზროვნის უნივერსალური უფლებები...


ჯანსუღ ჩარკვიანი

... ღვთის მადლია, რომ ქართული მწერლობის ამბორი გერგო წილად და მის ძლიერ უღელში ხარ შებმული.

ძმარ გურამ, ისიც მინდა შეგახსენო, რომ ღვთის მადლი, რომელშიაც დგახარ – ჭეშმარიტია...

რევაზ თვარაძე

... გურამ ბენაშვილის ყოველი ქმნილება ისეთივე შთაგონებითაა აღბეჭდილი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებები... ფიქრობ, ხსენებული თვინებები განაპირობებს მის სტილს,



ნერის მანერას – ერთადერთსა და განუყოფელს, ათეულობით ავტორისაგან უმაღლეს გამოსარჩევს...

თამაზ ჩხენკელი

... მისი ლიტერატურული ტალანტი უშუალო წინაპართა მიერაა კოდირებული, ჩანერგილი და ახალი ძალით აღორძინებული...

სანოქლე სიხოსხლის ეპსკლუზიური მონოლოგი პარო პაყაშვილის დღიური

მელიც უფუნქციო სიტყვათა ცდომილებიდან ათავისუფლებს მკითხველს, ანიჭებს რა მას აქტუალური შემეცნების სტატუსს, კრეატიული მიზანსწრაფვით მსჭვალავს და სახელს არქმევს ადამიანურ ინსტინქტებს, ყოფიერების თანმდევ „მოუხელთებელ ფანტომებს“ და მენტალურ მოვლენებს.

საგულისხმოა, რომ მისმა სულიერმა დიპაზონმა დაიჭრა და გაითავისა ალტაცებისა თუ მწუხარების, იმედისა თუ სინანულის, რწმენისა თუ სკეფისის ღირსება-ცდომილებანი.

ალსანიშნავია ისიც, რომ ამალეულითა და მშვენიერით ტკობა ორგანულ განცდად „ასდევნებია“ დროისაგან გამოტანჯული სულის თავისუფლებას, მის ესთეტიკურ ცნობიერებას.

ჩანაწერებში გამოვლენილი თემატური დიპაზონი მნიშვნელოვანწილად აღბეჭდილია ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი დიდი ინტერესით. ანალიტიკური დისკურსით წარმოდგენილი რეცეფციები „ლაღადებენ“ მისი ესთეტიკური ცნობიერების ოდენ სიმნიფესა და მაღალ კულტურაზე.

აი ფიქრები, რომლებიც ჩემში აღძრა მარო მაცაშვილის „დღიური“ წარმოდგენილმა თემატურმა მოდულაციებმა.

რა შეიძლება ითქვას კიდევ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი და მსხვერპლად შეწირული „გოგონას“ ხანმოკლე სიცოცხლის „ყვავილოვნების“ უამზე, მის

პათეტიკურ ვექტორებსა თუ რომანტიკული განცდების უმანკობაზე.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქ იგი „ჰყავის“ უსათნოესი გრაცითა და უებრო სისხუტაკით, სინორჩის „თავანწყვეტილი როკის“ იდუმალი წყურვილითა და ლოცვად აღვლენილ ოცნებათა სურნელით...

მხოლოდ ასე და ამგვარად წარმოვიდგენ „დღიურში“ დატეულ მისი, ვითარცა პროტაგონისტის, ამქვეყნიური ცხოვრების „კადრებს“ და სულიერი მნიფობის ნეტარ უამს.

მოგვიანებით სათაყვანებელი სამშობლოს უმძიმეს განსაცდელი იქცა მისთვის ბრძოლისა და თავშენიერის უალტერნატივი იმპულსად...

მან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, საკრალურ შეგონებად აღიქვა დიდი ივანე ჯავახიშვილის მონოდება – ახალგაზრდობას დაეცვა და ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიისაგან გადაერჩინა სამშობლო...

„ვერავითარმა მუდარამ, რჩევამ ვერ გასჭრა მაროზე, მე იქ უნდა ვიყავ, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. იგი როგორც მოწყალეების და, სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრის ფრონტზე... მეორე დღეს, საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცადა, უკანასკნელი საღამო ეთქვა სამშობლოსა და მშობლებისათვის“, – წერდა მაროს მამა, ცნობილი პოეტი და საზოგადო

მოღვაწე კოტე მაცაშვილი. ტრაგიკული წარსულის წიაღიდან, მარო მაცაშვილის გმირობასთან ერთად, მამის სულისშემძვრელი პოეტური სტრიქონებიც აღდგა და გაცოცხლდა... მასში გოდების მოტივაცია ქალიშვილის სიკვდილთან ერთად სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებაა: „ჩემო გმირო და წმინდანო, გაამხნევე მშობელი! /სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტყვი რომელი...“

ასე და ამგვარად გაცხადდა ამ ეპოქისათვის ესოდენ ორგანული კიდევ ერთი ტრაგიკული პრეცედენტი...

მარო მაცაშვილის ხანმოკლე სიცოცხლის მონოლოგად თუ ლექსიკურ ეკვივალენტად შობილი „დღიური“ ოდენ მენტალური აღორძინების ის წინასაფხურია, რომელიც ამრეკლავია მის ადამიანურ ვნებათა ჰარმონიზაციისა, ანუ იმ ინსპირაციისა, რაც საფუძვლად ექცა მის, როგორც ფსიქოტიპის, გმირად რეინკარნაციას...

ამ უმანკო პატრიოტის მსხვერპლმწიფითაც შეიძინა ავზიანი მწუხრით ტანჯულმა საუკუნემ მეტ-ნაკლებად ჰეროიკული იერსახე, ხოლო თვით იგი სასუკვარ სიმბოლოდ დაემკვიდრა ერის ისტორიულ მესხიერებას...

ოდენ „გედის სიმღერად“ წარმოდგენილმა ამ ჭეშმარიტად საკრალურმა „გზავნილმა“, დავიწყებისაგან უნდა იხსნას და მომავალი გაუცოცხლოს მარო მაცაშვილის უღრესად შთაბეჭდვად ადამიანურ ხსოვნასა და მის არამინიერ ყოფიერებას...

გურამ ბენაშვილი



„ხსენება მართალთა ქებით აღესრულებებისო“, ნათქვამია. ჩვენც გვინდა ქებით გავისხნოთ გამორჩენილი ქართველი მეტყვევ მეცნიერი, გეომოტიკოსი, ეკოლოგი, შრომის ნითელი დროშის ორდენის კავალერი, პროფესორი შალვა ალექსის ძე ხიდაშელი.

შალვა ხიდაშელი დაიბადა 1924 წლის 20 ივლისს, ონის რაიონის სოფელ ხიდაშელში. 1942 წელს დაამთავრა ონის პედაგოგიური სასწავლებელი, 1949 წელს – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მუშაობდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყვევად. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურ-

ნეო ინსტიტუტის ასპირანტურა. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, მინიჭებული ჰქონდა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1960 წლიდან შალვა ხიდაშელი მუშაობდა აკადემიკოს ვასილ გულიხაშვილის სახელობის სამთო მეტყვევების ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, ნამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, მეცნიერ-კონსულტანტად, არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

შალვა ხიდაშელი მიეკუთვნება იმ სახელმძღვანელო ქართველ მეცნიერთა ტრადიციების პლეადას, რომლებმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში აგრო-სატყეო მეცნიერების განვითარებას. თეორიული დებულებების სიღრმისეული დამუშავებითა და პრაქტიკული განხორციელებით სახელი გაითქვეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ფართო მეცნიერული აღდო, ორიგინალური მეცნიერული აზროვნება, კვლევის მაღალი მეთოდოლოგიური დონე, ღრმა ანალიტიკური უნარი, ბუნებისგან უხვად მონიჭებული პედაგოგიური ნიჭი, დაუღალავი შრომა და საქვეყნოდ აღიარებული ავტორიტეტი მას ყოველთვის ისეთ ნამყვან მეცნიერთა რიგებში აყე-

გუნების მესაიდუმლა

ნებდა, რომელსაც მიეკუთვნებოდა: პროფესორი სოლომონ ქურდიანი, აკადემიკოსები – ვასილ გულიხაშვილი, ნიკო კეცხოველი, გიორგი გიგაური...

მეტად ფართო იყო შალვა ხიდაშელის სამეცნიერო ინტერესთა სფერო. იგი აქტუალურ და კარდინალურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ტყეთმცოდნეობაში, მეტყვევებაში, ბოტანიკაში, ბუნების დაცვაში, გეობოტანიკაში და ფიტოთერაპიაში.

შალვა ხიდაშელის მეცნიერული ძიების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა საქართველოს ტყეებში და კულტურაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეული რესურსების გამოვლენა და ფარმაკოლოგიური მათი გამოყენების საკითხებზე მუშაობა. ამ წერილის ერთ-ერთ ავტორთან ერთობლივად გამოცემული სამკურნალო მცენარეთა მონოგრაფიებისა და ცალკეული სტატიების მრავალი სამედიცინო ღირსება აღიარეს სპეციალისტებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, მისი ეს ნაშრომები იმდენად სასველ მეცნიერულად დასაბუთებული რეცეპტურით, რომ საკვებით სარწმუნოს ხდის ამ ნაშრომების საიმედოობას მედიცინის თვალსაზრისით.

გვერდს ვერ ავუვლით ბატონი შალვას განსაკუთრებულ ნიჭიერებას და ფენომენურ მესხიერებას მცენარეთა სისტემატიკის ცოდნაში. ბუნებაში არ არის მცენარე, რომლის ბოტანიკური სახელწოდება (ქართულად, ლათინურად, რუსულად) და მნიშვნელობა არ სცოდნოდა. გამოქვეყნებული ჰქონდა 100-მდე სამეცნიერო შრომა, მრავალრიცხოვან სამეცნიერო და საგაზეთო სტატიებთან ერთად მის კალამს ეკუთვნის 15 მონოგრაფიული და მეთოდური ხასიათის ნიგნი.

შალვა ხიდაშელი სიცოცხლის ბოლომდე საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობას ეწეოდა ბუნების დაცვის, სატყეო-საკულტო სამუშაოების, სამკურნალო მცენარეების გამოყენების, ტყეების აღდგენა-განახლების, სატყეო ეკოლოგიის პრობლემების საკითხებში. იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებით საერთაშორისო, რესპუბლიკურ თუ რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციებზე, კონგრესებსა და შეხვედრებზე.

ბატონი შალვა 2009 წელს 85 წლისა გარდაიცვალა.

ცხოვრებაში ადამიანს დიდი ქართველები, სევდა და ტკივილი ხვდება... არის ხანა დაცემისა და აღმავლობისა... არ არსებობს უფრო

მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ის, რომ ასეთ ვითარებაში მაღალი ზნეობრივი ღირებულებები და ადამიანური ღირსება შეინარჩუნო, როცა იგი არა მხოლოდ გენეტიკური, არამედ გონისმიერი და ზოგადად ადამიანურიცაა. დიდი შოთასი არ იყოს, „წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა“. ამის მაგალითი ხომ ჩვენი შალვა ხიდაშელია. სისავითი, ემოციებით, დაუღალავი შრომით, გაცდლებით განვლო მან მთელი სიცოცხლე. თავს დატეხილმა დიდმა ტრაგედიამ – ვაჟიშვილის გარდაცვალებამ – კი არ გააბოროტა, პირიქით, გააფაქიხა მისი შინაგანი სამყარო, რაც უზუნესთან მიახლოების სანინდარია. მას შეეძლო სხვათა გულების გათბობა, ხელჩაქნულთა შემობრუნება-მოქცევა, რამეთუ თავად იყო მაგალითი იმისა, რომ სიცოცხლე, მიუხედავად უამრავი უსამართლობისა, უკეთურობისა, მანაც ღირს.

ამბობენ, სიკვდილი მამინ არის დამარცხებული, როცა გარდაცვლილის ხსოვნას დრო ვერ ერევა. ვერაფერი დაგვაინყებს ბატონ შალვა ხიდაშელს, ადამიანს, რომელმაც დიდი ღვაწლი და სულიერი საზრდო დაგვიტოვა ამქვეყნად.

აკადემიკოსები: ვანო ჰაპუნიძე, გიორგი გაგოშიძე



ლია წერეთელი

ნიგნი — ჩაკვიანი



საგანძურის მცველი

ანზორ ერქომაიშვილის ნიგნის „ბაბუაჩემი არტემ ერქომაიშვილი“ თხრობის დრო-ჟამი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იწყება, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის ერქომაიშვილების საგვარეულოს ერთგვარი მამამთავარი და მისიის განმსაზღვრელი – გიგო ერქომაიშვილი-დიდი „თეთრი ბაბუა“.

მეცხრამეტე საუკუნის იდეალებზე აღზრდილი გიგოს თაობა, რომელიც მოეწრო ილიას მონაწილედ აღსასრულს, აკაკისა და ვაჟას პოეზიის დღესასწაულებს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული გამოცემებისა და თეატრის ღვაწლს, თვალნათლივ დადგა არჩევანის წინაშე – ან დადგომოდა სრულიად ახალ, ძველის უარყოფელ გზას, ანდა თავი გადაედო წინაპართაგან ანდერძ-ნამაგად გადმოცემული საუნჯის მცველად.

ანზორ ერქომაიშვილის ნიგნი თავისთავად არის ღვაწლი ადამიანისა, რომელსაც არ შეეძლო, მოგონებებით არ გაეცოცხლებინა ღირსეული წინაპრები და მთელი გალერეა მათი თანამოღვაწე ადამიანებისა. კარგად იცოდა, რომ სხვა ვერ გააკეთებდა ამას. თხრობაში ცოცხლდება გიგო და არტემ ერქომაიშვილების განვლილი ცხოვრება, მათი დიდი მცდელობა, შეისწავლონ, ასწავლონ და დაკარგვას გადაარჩინონ ახალ დროებაში დასავლენილებად განწირული ერის სულიერი საუნჯე. მოგონებები ყრობიდან იწყება, დიდი „თეთრი ბაბუის“ გაცნობით, მისდევს ბაბუ არტემის ცხოვრების თხრობას და რადგან ბავშვური აღქმა ცხოველყოფილია და ფაქიზი, თხრობა გულწრფელი, ნათელი და უშუალო, შეუძლებელია, მკითხველი გულგრილი დატოვოს გულუბრყვილო ყრობის ამბებში ორი ბაბუის ხატ-სახემ, ბუნებრივად არ აქციოს მათ თავყვანისმცემლად, რადგან ორივეს თავიდანვე გაცნობიერებული აქვს „განძის მცველის“ ფუნქცია.

მეცხრამეტე საუკუნის იდეალები და მემკვიდრეობა გადმოჰყვა ერქომაიშვილების საგვარეულოს: სასულიერო განათლება, სურვილი სასულიერო ღვაწლისა... მაგრამ სამღვდლოდ გამოზადებულ და განსწავლულ კაცს ახალმა დროებამ მოუხსნო, კორნელი კეკელიძის მსგავსად, აღეკვეთა სასულიერო ასპარეზი, თუმცა „საღვთო“ მსახურება არ შეუნწყვეტიათ და სხვაგვარად განახორციელეს. მთავარია, რომ ცოდნა და განსწავლულობა არ დაიშურეს. სამეცნიეროსგან განსხვავებით, არტემ ერქომაიშვილის ღვაწლი სხვაგვარია – ხალხური სიმღერების დასწავლა- დამახსოვრება, შეგროვება საგალობლებისა, შესწავლა, სწავლება, სამეცნიეროდ გადაცემა სხვა ასპარეზზე...

ამ ეპოქის ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ილიას მიერ განსაზღვრული სამი ლეთაბრივი საუნჯე „მამული, ენა, სარწმუნოება“ ფართო არეალს გულისხმობს და ქართული ხალხური სიმღერა, საეკლესიო საგალობლები უშორესი წარსულიდან მოსდევს ქრს, ისიც „საღვთო რამ არის“ და როგორც ქართულ ენას „ცოდვილის ხელი, არც მას უნდა მიეკაროს“.

ანზორ ერქომაიშვილის თხრობა ნათლად გვიხატავს ეპოქას – ბათუმს, სადაც პატარაობისას ცხოვრობდა ოჯახი.

ინცება თხრობა და ყმანვილის თვალსაწიერით იხატება ქართული სოფელი. ჩოხა-ახალუხით, ტრადიციული ქამარ-ხანჯლით მისაბრუნელ არტემ ბაბუა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსად, ამგვარადაც ადასტურებდა ქართულ სიღირსაღვალესა და დახვეწილობას.

თხრობა ასურათხატებს, როგორ აფუძნებს „თეთრი ბაბუა“ – გიგო ერქომაიშვილი, გვარის მომავალს, რომელსაც სიმღერის მსახურება ჰქვია და ყმანვილა ჯერ არ იცის, რომ „განძის მცველად“ ზრდიან.

სოფელი მაკვანეთი ქართულ ყოფას აცო-

ცხლებს, ქართველ ადამიანთა იმგვარ სახეებს, რომლებსაც ავტორის მეხსიერება სრულქმნის და თავადვე ემშვიდობება, რაკილა აღარ არსებობს ის ყოფა და იმგვარი სახეები...

კითხულობ მათი ყოფის ამბავს, სიმღერა-პრომას და გრძნობ, რომ ამ სიმღერაში წინაპართა ხმა ისმის, ისინიც ასე მხნობდნენ და თითქოს მინის სურნელი მოსდევს ჰანგებს.

ქართული სიღირსილით წარმოდგება მონუმენტური სახე გიგო ერქომაიშვილისა. ყრობის მოგონებებით ვაცოცხლებული ეს პატრიარქალური ხატი მოხუცისა, რომელიც შვილთაშვილს ასწავლის სიმღერა-ლიდის, ანბანს, მოუთხრობს ზღაპრებს და თან ქარვის კრილოსანს მარცვლავს... ყრმას იზიდავს და მაღლს ჰყვებს სპეტაკი თმა-წვერის ბაბუ, რომელსაც ბავშვური აღქმით სახელდებაც ადვილად მოუძებნა და „თეთრი ბაბუ“ დაარქვა. მკითხველი მონუსხული რჩება ამგვარი თხრობით.

„მოაქვთ სიმღერა“...

გიგოსა და არტემის გუნდის წევრები, მათი მსმენელები, სუფრასთან შეკრებილი თანასოფელები თუ ნათესავ-მეზობლები ცნობიერად თუ არაცნობიერად ხვდებიან, რომ რაღაც საოცარ სამყაროს, იდუმალ სივრცეს, დამატყვევებელ რეალობას ეზიარებიან. სიმღერის ჰანგებს მოაქვს საიდუმლო ნათელი, უცნაური ძალა, რომელიც აერთიანებს და ამალვებს მათ. ეს მთლიანობის განცდა აახლოვებთ და სულიერ სამოდ ჰქრავთ. თითოეულს თავისი უნიკალური ხმა და ტემბრი გამოარჩევს, ერთმანეთს რიდსა და აღიარებს განაპირობებს და კიდევ რამდენი რამ არის შეუცნობელი შრომისა თუ ღვინის, გლოვისა თუ საკონცერტო შესრულებისას... თავად ჰანგები ავსებს და განმსჭვალავს მათ არსებას. არტემ ბაბუა ბავშვს უხსნიდა: მომღერალი კაცი ხალხში გამოიჩნევა, ის სხვანაირია... გამოიჩნეულია ზრდილობით, სუფრასთან ნაზად მჭამელი, ზომიერად მსმელი, სხვანაირი იერი აქვს და სხვანაირად დადის...

ამის მიტქმელმა იცის და ბავშვს უნერგავს რწმენას, განსწავლის, რომ სიმღერა, ჰანგი აკეთილშობილებს ადამიანს, სულიერად ამალვებს, განამტკიცებს და იდუმალი ხიბლით განამშვენებს მას. მომღერალ-მგალობელი ადამიანი იმდენად იხვენება, რომ ის არასოდეს გახდება დამნაშავე, მკვლეელი... აღმზრდელითი ფუნქცია ეროვნული სიმღერებისა განუხაზღვრელია, იგი მხედრული სულისა და სიმტკიცის, ღმობიერებისა და სიკეთის შთამაგონებელია, მარადიული საგზალია ცხოვრების გზაზე სიყრმიდან წამოყოლილი... სიბრძნედ არის ქცეული და ყოფაში დადგენილი ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო საგალობლებსა წაწვლების აღმზრდელითი და სულიერ-მორალური ფუნქციები...

დიდ შემართებას ერთი და ორი თაობა არ ეყოფოდა. ამ იდეის ზორცმესხმას ბევრი კეთილშობილი ადამიანის თავგანწირული ბრძოლა დასჭირდა: ფილიმონ ქორიძემ საოპერო კარიერაზე უარი თქვა და მთელი ცხოვრება მიუძღვნა საგალობლებისა და ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩანერას, მის კვალს გაჰყვნენ ექვთიმე კერესელიძე, მძები კარბელაშვილები, სანდრო კავსაძე... მაგრამ თავიდანვე ტრადიციული აღმოჩნდა ეს ღვაწლი – იკარგებოდა უკვალოდ და ქრებოდა ნლების თავდაუზოგავი ნაშრომი, გადაარჩა ძალიან ცოტა. აღმოჩნდა, რომ ახლიდან არის ნოტებზე ჩასაწერი ხალხური სიმღერები და საგალობლები, რასაც ცხადად გვიდასტურებს არტემ ერქომაიშვილის მონოდება შვილიშვილისადმი – მიიღოს სათანადო განათლება...

„სულიერ ქნარით“

ქართული მრავალხმიანობა და საგალობლები ბევრი მეცნიერის კვლევის საგანი

გამხდარა, მაგრამ ბევრი ყოფილა ისეთი, რომელთაც არაფერი დაუნერიათ, მაგრამ ალუზრდიათ თაობები დიდი შთაგონებითა და სიყვარულით. ასეთნი თითქოს შეპყრობილი იყვნენ გამოუცნობი მადლით და გარემომყოფთ ჰყვნდნენ მადლის სხივებს ისე, რომ თავადც არ უწყოდნენ ფასი საკუთარი სიტყვების ზემოქმედებისა.

რუსთველი ავთანდილის „მღერას“ კოსმიურ საგალობლებს უწოდებდა, ყველა სულდგმულს რომ ამთლიანებდა და „სმენად ქვანიც გამოხსდიან“...

თუ კარგად დავაკვირდებით, ქართულ ყოფაში სიმღერა-საგალობლების შემსრულებლებმა, მეცნიერული მოსაზრებები რომ არც იცოდნენ, ამ ცოდნას ფლობენ. მათ იციან და გრძნობენ, რომ ქართული სიმღერა-გალობა „საღვთო რამ არის“... შესაძლოა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არც ჩაუხედავთ, მაგრამ იციან და ყოფაშიც განმტკიცებულია, რომ „გალობა არის მართლმადიდებლობითა მიერ ღვთისმეტყველება“, სიმღერა კი საერო „მსოფლიო ხმინება“, რომ სუფრა – რიტუალურია, პურ-ღვინო – ქრისტიანთა ზიარება, „სადღევრძელო“ – ღვთიური დალოცვა, ჭირის სუფრაზე დატვირთა და გამოგლოვა, შრომა... ყოველივე ჰანგით არის „გამშვენებული“, ღვთიურ საიდუმლოს დამორჩილებული...

ეს ყოველივე კარგად ჩანს ანზორ ერქომაიშვილის მიერ მოთხრობილ ამბებში. გიგო და არტემ ერქომაიშვილები აღმოჩნდნენ „დიდი საგანძურის“ დამტვე-შემნახველნი. მათი სული დახვეწა და გაამშვენიერა ამ ცოდნამ, ამ ხმებმა და შესრულებამ. ისინი აღმოჩნდნენ თაობებს შორის მომწვენი ამ მადლისა და ღირსეულად ემსახურნენ წინაპართა ხსოვნას. მართალია, საგალობლებს ტაძარში ვეღარ, მაგრამ მანაც ასრულებდნენ, თავად იქცნენ ტაძრად და თავის არსებაში დაავანეს, შთამომავლებს გადასცეს და ასწავლეს „განძის მცველობა“.

ანზორ ერქომაიშვილის თხრობა სახიერად, ბავშვური სინდრფელით ადასტურებს, როგორ ფაქიზად, ნელი-ნელ აზიარეს ყრმა დიდ ცოდნას და სამომავლო გადასაცემად მოუწოდეს...

ნიგნი ისეა დაწერილი, ეს მისია თანდათან იკვეთება.

რევაზ სირაძე „შუშანიკის ნამების“ სიტყვებს, „ბნელი სენაკი განაშვენა სულიერთა მით ქნარითა“ წმინდანის სულიერი ამალვების, მინიერის დაძლევის სიმბოლურ გამოხატვად მიიჩნევდა თხრობაში, როცა ადამიანი წუთისოფლის „ბნელს“ სულიერი „ნათლით“ ასხივოსნებს, რომ წმინდანის სულიერი გალობა, სულიერი ფსალმუნი, გალობის შენიერა დასტურდება.

ეს ის ქნარია, საუკუნეების განმავლობაში რომ მოსდევს ქართველთ. მას ახსენებს და „ჩანგს“ უწოდებს „ვეფხისტყაოსანი“. ჩანგური, ფანდური... განუყოფელია და ყოფაში დამკვიდრებული „სულიერი ქნარი“. ის ქნარი, რომელიც ზემთაგონების სიმბოლოა და მადლის, ღვთისთავის გამომხატველია საუკუნეების განმავლობაში შუშანიკიდან, ქართველ მეფე პოეტებთან, გურამიშვილთან, ილიას, აკაკისა და ვაჟასთვის...

„მაქვს მკერდს მიდებული ქნარი“ – გალაკტიონის თქმაც საღვთო საგალობლის გამოხატულებაა.

ეს ქნარი ხმიანობდა ერქომაიშვილების საგვარეულოში. შესაძლოა, საგანძური დაფარული იყო გარეშე თვალისათვის და ბოლომდე შეუცნობელი მისი „საღვთო არსი“, მაგრამ სული გრძნობდა იდუმალ სიმშვიდეს მასში, როგორც გიგო ბაბუას „კრილოსანი“ ინახავდა ხსოვნას, რომ ის უბრალოდ დროს კი არ მარცვლავს, ის სადიდებელია და მისი სახელი ბერძნულიდან შემოსული, ყოფაში გადასული „კი-რი-ელე-ის-ონ“-ია.

ფსევს მონყვითილი

ანზორ ერქომაიშვილი თხრობაში ცდილობს, არცერთი მომღერალი არ გამოჩნეს, უყურადღებოდ, მოხსენიების გარეშე არ დარჩეს ვინმე, ვინც კი ახსოვს, ვისზეც ბაბუები მოუთხრობდნენ. არტემ ერქომაიშვილი სუფრასთან შესანდობარს ამბობდა 24-სა თუ 37 წლებს შენიერული გუნდის წევრებისათვის, თხრობაში ასე ცოცხლდებიან მათი სახეები და ესეც „შესანდობარია“. იხატება ქართული სოფელი თავისი უნიკალური „სიბრძნით“, ყოფა-ცხოვრებითა და ტრადიციებით, მეზობლების თანადგომითა და შეწევით.

გამორჩეულია ნიგნში გიორგი ნაკაშიძის სახე. ის არის ძმისშვილი ერმილე ნაკაშიძისა, რომელმაც, გიგოს სიმღერითა და ხმით მოხიბლულმა, აზატობა უბოძა და მინითა და სხვაგვარი საჩუქრებით აავსო.

გიორგი ნაკაშიძეს ამერიკაში შეხვდა ანზორ ერქომაიშვილი ანსამბლის გასტროლებზე. ქართული, გურული სიმღერების კონცერტს დაესწრო და ცრემლებს იმენდდა წინა რიგებში მჯდარი მოხუცებული კაცი, როგორც გრივოლ რობაქიძე სუხიშვილების კონცერტზე მოსული და აცრემლებული, შთაგონებულმა რომ დაწერა – „ქართული გენია როკით განწვნილი“. ეს ღირსეული ადამიანი პირველი თაობის უნიკალური სტუდენტი იყო. პოლიტიკური შეხედულებების გამო გადაასახლეს და მთელი ცხოვრება უცხოეთში გაატარა.

მაკვანეთს იგონებდა სიყვარულით, ძველ მომღერლებს; უნივერსიტეტის მეგობრებს; ივანე ჯავახიშვილს უცრემლოდ ვერ ახსენებდა, საპრეზიდენტო კაცად მიიჩნედა...

„სამოცდაათი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მე მართალი ვიყავი (პოლიტიკური შეხედულებებით), მაგრამ ვინ დამიბრუნებს იმ სამოცდაათ წელს, რომელიც მე საქართველოს გარეშე გავატარე?“

და ეს არის კითხვა არაერთი ფესვებს მონყვითილი ნამდვილი მამულიშვილისა.

„ვიცი, რასათვის ვარ“...

როცა წინაპარი ღირსეულია, როცა საგვარეულოს თაობებში მოჰყვება წინაპართა ძალა და მადლი, აუცილებელია, დაინეროს მათი ნაღვანის შესახებ, ესეც ვალია – სიტყვად უნდა მიანიჭოს ღირსეულ წინაპარს მარადიულობა ხსოვნით.

ასეთი ადამიანები მხოლოდ თავისი ახლობლებისათვის როდი არიან ძვირფასნი, მათი ნება თავისთავად მოქმედებს, ერთი სიტყვა ცვლის ბევრის აზრს. ასე მოხდა, როცა არტემ ბაბუა თანასოფელებს საფლავების მიტოვებულობა და მოუვლელობა უსაყვედურა და მალე მთელი სოფელი გამოვიდა გამოსასწორებლად სირცხვილისა... ასე იყო, როცა გიორგი ლეონიძეს უსაყვედურა და საბოდიშოდ განაწყო...

ცხადია, რომ ასეთი ადამიანები ქმნიდნენ ეპოქას.

საოცარია, სიკვდილის მოახლოების თხრობა ნიგნის დასასრულ – არტემ ბაბუამ, მოცარტივით, თავისი რეკვიემი შექმნა. სხვადასხვა ხმები ჩანერა და თავისი საგალობლებით გასვენება ისურვა. ისიც ბედისწერულად მოჩანს თხრობაში, რომ როგორც არაერთხელ მოხდა, როგორადაც ფილიმონ ქორიძის ჩანაწერები, ეს უნიკალური საგალობლები თვალსა და ხელს შუა გაქრა. როგორც იტყვიან, ბოროტს არ სძინავს...

ეს ნიგნი, რომელსაც ასევე შეიძლება რეკვიემი ვუწოდოთ, თხრობის ოსტატობითაა გამოჩენილი, ოსტატობას გულწრფელობა განაპირობებს და ვალდებულების განცდა, სიყვარული... კიდევ ბევრი რამ არის ანზორ ერქომაიშვილის ნიგნში დასაფიქრებელი, საგულისხმო. მთავარია, რომ დაინერა და მომავალ თაობას უამბობს, როგორ ღირსეულად უნდა ემსახუროს ადამიანი წინაპართა ხსოვნას.

საშინო მაცუკი
შინაგალი ბაიის
ჩანაწერები და ლექსები
松木田代
藏文散文
僧
譯者 勞爾·奇拉查瓦

ტაშირო მაცუკის სახელი პირველად ამ თხუთმეტი წლის წინათ რიგაში გავიგონე მაღალი რანგის ჩინელი დიპლომატისგან, რომელსაც განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული და რუსულს ჩინურულად ფლობდა. ჩინეთის საელჩო უკრაინის საელჩოდან ას მეტრში იყო და ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ხან ქუჩაში, ხან ახლომდებარე სკვერში, ხან კიდევ სხვადასხვა ოფიციალურ მიღებაზე. განსაკუთრებით დავახლოვდით მას შემდეგ, რაც იგი ჩემი ერთ-ერთი ნიგუნის წარდგინებას დაესწრო. აღმოჩნდა, რომ თვითონაც წერდა ლექსებს და, საერთოდ, შესანიშნავად იცნობდა არა მარტო მსოფლიო კლასიკას, არამედ თანამედროვე მწერლობასაც. როცა ერთმანეთი უფრო უკეთ გავიცანით და ჩვენ შორის გარკვეული ურთიერთდობაც დამყარდა, მითხრა, რომ ჰქონდა საინტერესო ხელნაწერი, რომელიც ჯერ არსად გამოქვეყნებულა, თუმცა ამას იმსახურებს. როცა რამდენიმე ნაწყვეტი მითარგმნა ზეპირად და ვთხოვე, უფრო დაწვრილებით მოეთხრო მასზე. კოლეგამაც ამისხსნა, რომ ტაშირო მაცუკი იაპონურ ფსევდონიმს ამოფარებული ჩინელია, რომელიც გაქცევა თავისი ქვეყნის კომუნისტურ დიქტატურას და თავისუფლებისმოყვარე ტიპეტს შეაფარა თავი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი დღემდე გაუშიფრავია, ცნობილია მხოლოდ დაბადებისა და გარდაცვალების წლები - 1923-2005. ასევე, ცნობილია, რომ ტაშირო მაცუკად ცნობილ პიროვნებას თავის დროზე ჩინეთის სახელმწიფო იერარქიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, რომელიც უცებ დატოვა და, როგორც ვთქვი, მოულოდნელად ტიბეტში გაიხიზნა. ჩემი ნაცნობი ჩინელი დიპლომატიც საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი თავისი ქვეყნის ხელისუფალთა მიმართ, ამიტომ მის გვარს არ ვასახელებ, რადგან იგი დღემდე მოქმედი დიპლომატია და ამჟამად ევროპის ერთ-ერთ სახელმწიფოში დიპლომატიის ხელმძღვანელობს. ჩვენი ხშირი საუბრების დროს მომნიშვნა აზრი, რომ კოლეგა სიტყვასიტყვით მიკარნახებდა ტექსტებს, რომლებსაც მერე ენობრივ-სტილისტურად დავამუშავებდი და მხატვრული თარგმანის სახეს მივცემდი. ეს სურვილი უფრო გამძლიერდა, როცა გავიგე, რომ ტაშირო მაცუკი ორიგინალური ლექსების ავტორიცაა. ასეც მოვიქეცი. მოცალეობის ფაშს, კვირა-უქმეებში, ჩვენ ვხვდებოდით ჩემი საელჩოს კომფორტაბელურ ბუნკერში (შენობაში ადრე ყოფილი ლატვიის სსრ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი იყო), სადაც ჩინური საუნა გვქონდა და ჩინური ჩაის, ქართული ღვინისა და უკრაინული წინაკიანი არაყის თანხლებით ვთარგმნიდით ინკოგნიტო პოეტსა და მოაზროვნეს. ეს იყო დღიურები და პოეტური ტექსტები, ზოგჯერ დაუმთავრებელიც. სიმართლე რომ ვთქვა, არც ვიცი, როგორ მოხვდა ეს ხელნაწერი ჩემი ნაცნობის ხელში, არც ის, გამოიცა თუ არა იგი სამშობლოში თუ საზღვარგარეთ. მე სულ ვაპირებდი, ჩავჯდომოდი ამ პნკარედებს, მაგრამ საკუთარმა შემოქმედებამ გადაამძალა - ბოლო წლებში ათზე მეტი კრებული დავწერე და თარგმანისთვის ვერ მოვიცალე. ახლა ვფიქრობ, ეს უამი დადგა და ქართველ მკითხველს ვთავაზობ ამ, ჩემი აზრით, საინტერესო და ორიგინალური ავტორის მცირე, მაგრამ ყურადსაღებ ნაშრომს.

მთარგმნელი

ადამიანთა უმეტესობა, რომელმაც არ იცის, რისთვის მოეწვინა სამყაროს, მისთვის სრულიად შეუფერებელ საქმიანობას ეწევა. ამიტომ გვხვდებიან ყველა სფეროში გულგრილი, ზერელე ადამიანები, რომლებსაც ცხოვრება ხრიკების ხლართვასა და წარმატებული ადამიანებისთვის სარმის დაღებაში გაჰყავთ.

ჩვენი ცოდნა სამყაროზე, მის წარმოქმნასა და განვითარებაზე საკმაოდ მცირე, ქაოტური და სუბიექტურია. ღვთისმეტყველების, მოციქულების, წინასწარმეტყველებისა და მეცნიერების მონაცემებით, ცდებითა და დასკვნებით შეზავებული ცოდნა არასაკმარისია საიმისოდ, რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, როგორ შეიქმნა გალაქტიკა, ცა, დედამიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, როგორ გაჩნდნენ სულიერი არსებები, როგორ ისწავლა ადამიანმა ლაპარაკი და აზროვნება და კიდევ უამრავი რამ. რა თქმა უნდა, ყველა აქ ჩამოთვლილ, დღევანდელი გადასახედიდან თითქოს საკმაოდ გულუბრყვილო კითხვებზე არსებობს სრულიად სერიოზული პასუხები, მაგრამ ისინი ზოგჯერ შეიძლება გააქარსყლოს პატარა ბავშვის მოულოდნელმა შეკითხვამ. ადამიანი ცოცხლობს, არსებობს, საქმიანობს დროის ძალიან მცირე მონაკვეთში და ამიტომ მას არ ძალუძს, მთელი სისასვით წარმოიდგინოს, რა იყო მის გაჩენამდე და, მით უმეტეს, განჭვრიტოს, რა იქნება მისი გაქრობის მერე. რელიგია ცდილობს, შეამსუბუქოს მისი პესიმიზმი, დაამკვიდროს სულის უკვდავების იდეა, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო ძნელად მისაღწევი ხდება.

მხოლოდ დანარჩენი სამყაროსგან სრულიად მონყვეტილია შევიგნე, რომ საზოგადოებაში ყოფნით, იქ განუწყვეტელი და უსარგებლო ტრიალით ჩემს ქვეყანას ბევრს ვერაფერს შევმატებდი, ხოლო ზიანი კი, ნებისთი თუ უნებლიეთ, შემძლე მიმეყენებინა. რაც უფრო მეტი ჩემისთანა დროზე მივა ასეთ დასკვნამდე და არ შეუშლის ხელს ჭეშმარიტად შემოქმედი ხალხს, მით უფრო მეტი შანსი ექნება კაცობრიობას მეტნაკლებად ყველასთვის მისაღები მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად.

ღმერთს რომ საკუთარი გულისნადები გააგონო, აუცილებელი არაა ხმამაღალი გალობა, მკერდში მჯიდის ცემა და თუ მინაზე მუცლით ხობვა - საკმარისია, გაიფიქრო, რაც გასურს, და შემოქმედი უთუოდ გაიგონებს მას. ყველა ჩვენგანი უფალთან დაკავშირებულია ერთ წამით.

საუბარი დუ ფუსთან

ნუხელ დუ ფუსთან ვსაუბრობდი არნივის ჩრდილში. უცებ შორიდან დაიქროლა მძლავრმა ქარმა და დაძიბაოთა ფრაგმენტები გაფანტა ირგვლივ. ხუნვიბინებს არ ასვენებთ ეშმაკი ისევე, თორემ რა ხდება ცისქვეშეთში, ნეტავ, ისეთი, რომ ღირდეს ჩვენთვის ხელის შეშლად თუნდ ერთ წამით.

პარტკომში ვფიქრობ ხან-ჯოუს ტბაზე

მაოს ციტატა შემეშალა და, მთელი დღეა, პარტკომში მხოლოდ ჩემს სიჩლუნგეს აკრიტიკებენ. მე კი ვზივარ და ნეტარებით ვისხენებ იმ დროს, სატრფოსთან ერთად ხან-ჯოუს ტბა რომ გადავცურე.

თოვლი სიჩუანში

ღრუბლებმა მამცნეს: სიჩუანში თოვლი მოსულა. ისინი ისე მსუბუქი და მშრალი არიან, მე დავასკენი - სიჩუანში მოსულა თოვლი.

ფიქრები იმ დროზე, რომელშიც უნდა მიცხოვრა

მე, ალბათ, მაშინ უნდა მეცხოვრა, როცა ჩინეთის დიდი კედელი არ იყო ჯერაც და კაცს შეეძლო წასვლა იქითკენ, საითაც სურდა. ახლა რაღა ვქნა? ჩემი სამშობლო ჩაკეტილია დიდ კედლებს შორის და მე თვითონაც მათ ვარ მითვლილი, ვინც საზღვარს იქით არავის უშვებს. ჩავცქერი შურით დუ ფუს სტრიქონებს

ჩანაწერები

არა ხმით, არამედ ყოველდღიური აზრითა და მოქმედებით, რაც განსაზღვრავს ჩვენს მრწამსსა და შინაგან რაობას. ამიტომაც ყველაზე დიდი ცოდვა ამქვეყნად უფლის მოტყუების მცდელობაა. იმთავითვე კრახისთვის განწირული მცდელობა.

ბრძენი მუნ-ჩე-იჩუ მომიყვია: გზის განაპირას ორი კაცი ქვევს თლიდა. მძიმე შრომისგან ორივეს წურწურით ჩამოსდოდა ოფლი. ჩამოიარა მგზავრმა და ჰკითხა მათ: რას აკეთებთ?

- ვერა ხედავ, ქვევს ვთლი, წელში გავწყვიდი, დამკვეთი კი ცოტას მიხდის! - ჩაიბუზღუნა ერთმა.

- შენც ასე უკმაყოფილო ხარ? - ჰკითხა ახლა მეორეს.

- როგორ შეიძლება უკმაყოფილო ვიყო, ჩვენ ხომ ტაძარს ვაშენებთ, - მიუგო გაბადრულად მეორემ, თუმცა დაღლა მასაც არანაკლებ ეტყობოდა.

დასკვნა: შესაძლოა, მძიმე შრომაც სასიამოვნო იყოს, თუკი საამისოდ წინასწარ დადებითად ხარ განწყობილი.

დემოკრატია ტირანის ურჩი შვილიშვილია. ცდილობს, ჩამოშორდეს წინაპრის კალთას და საამისოდ მზადაა, შეიცვალოს ეროვნებაც, სახელიცა და გვარიც, მაგრამ არცთუ იშვიათი რეციდივები უტყუარად მიგვანიშნებენ მის წარმომავლობაზე.

ამ ცხოვრებაში ფეხი თუ დაგიცურდა, ეს გაცილებით მეტს გაუხარდება, ვიდრე ეწყინება. არადა, რატომ უნდა გესიამოვნოს სხვისი გაჭირვება, მაგრამ ისეა მოწყობილი ადამიანი შინაგანად, რომ მას უფრო ახარებს, ვიდრე ამწუხარებს არათუ უცნობის, ზოგჯერ თვით ახლობლის წაფორხილებაც, თითქოს ეს მისთვის რაიმე დივიდენდების მომტანი იყოს. ამიტომ ვერ მოხერხდა და ვერც ოდესმე მოხერხდება სამართლიანი, ჰუმანური, ჰარმონიული საზოგადოებრივი სისტემის შექმნა, რადგან ეს ეწინააღმდეგება თვით ამ საზოგადოების წევრთა თანდაყოლილ ბუნებას. ყველაზე თავგანწირულად ამის გაკეთება კომუნისტებმა სცადეს, მაგრამ უპირველესად ამ ბუნების გარდაქმნა ვერ მოახერხეს და კისერიც წაიტეხეს. ჩინელები ამას რუსებზე ადრე მიხვდნენ და

ლექსები

და ვწუხვარ, რატომ არ გაგჩნდი მაშინ, როცა პოეტის ფრთებთან მაკრატელს იმპერატორიც ვერ მიიტანდა.

ვეფხვიდოვაბი ხუან-ხან და მივდივარ შორეთს

დავტოვებ მალე აყვავებულ ბაღნარებს ჩემსას და დღემდე უცნობ მონასტერთან შევდგები კრძალვით. რა მელოდება მე, ცოდვის შვილს, რა მელოდება, რას მეტყვის უცხო და უცნობი სამშო, რომელთან უნდა გავიყო დარჩენილი სიცოცხლის დღენი! მოამქუზარებს ყვითელ ტალღებს ჩემი ხუან-ხე და ვხედავ, როგორ ყვითლდებიან ხეები ირგვლივ. უკანასკნელად ვაყურადებ დედა-მდინარეს, გზას რომ მილოცავს უცნობი და შორი მიზნისკენ, რომელიც რატომ ავირჩიე, არ ვიცი თვითონ.

ბერის სენაკში მე ვისხენებ კობას სამშობლოს მე ბავშვობაში ერთი დიდი სურვილი მქონდა - მენახა ტურფა საქართველო - კობას სამშობლო, მაგრამ ახდენა არ ეწერა ოცნებას ჩემსას, დაამხეს კერპი, დააშორეს ღვინის სახელს, ჩვენ კი აგვისხნეს, რომ ბელადი ტირანი იყო. მერე მაოზეც იგივე თქვეს, მაგრამ მის ხსენებას სტალინის მსგავსად ლაფის დასხმა ვერ გაუბედეს.

ახლა უკვე კომუნისტებისა და კაპიტალისტების უჩვეულო პიბრიდს ქმნიან. დენ-სიაო-პინმა ფუნდამენტურად გარდაქმნა მაო-ძე-დუნის მოძღვრება, თანაც ისე, რომ ავტორის პიროვნებას არ შეხებია - დატოვა იგი იდეის ფასადად, ხოლო ფასადს მიღმა სულ სხვა შენობა ააგო. ჯერჯერობით ეს შენობა დგას და საკმაოდ მყარადაც. მაგრამ მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ იქ კარდინალურად განსხვავებული სულისკვეთების ადამიანები ცხოვრობენ ან იცხოვრებენ. მათარხისა და თაფლაკვერას პოლიტიკა სანამ იმუშავებს, იდეაც ცოცხალი იქნება, მერე კი არც ჩემს სამშობლოს ასცდება დიდი კატაკლიზმები.

ჩვენს საზოგადოებაში ადამიანი ჭანჭიკიც აღარაა. შეიძლება ერთ დღეში მილიონი ჩვენგანი გააქროს და ეს ვერაფერს შეიტყოს. თუ ვინმემ შეიტყო და ხმა ამოიღო, დარწმუნებული იყავით, რომ მას უმალვე დაარწმუნებენ, ეს ხალხი კი არ გამქრალა, არამედ უზენაესი მიზნის მისაღწევად არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა და იქ განაგრძობს უკიდურესად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმიანობას. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ მასების დარწმუნების საუკეთესო სისტემა გვაქვს. მე ეს ყურმოკრულით როდი ვიცი.

ადამიანის სიცოცხლისთვის ყველაზე საშიხელი დეფიციტი სიყვარულის დეფიციტია. შეიძლება მოგეჩვენოს, რომ მას მატერიალური სიკეთეების ნაკლებობა ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არაა. თვით ყველაზე უზრუნველყოფილ, ზოგჯერ ფუფუნების დონეზე მცხოვრებ ქვეყნებშიც კი, სიყვარული სახთლით საძებნია. ეგოიზმი სპობს პერსპექტივას, უზარობად აქცევს მას, რითაც ჩვენ, წესით, სხვა სულიერ არსებათაგან უნდა განვსხვავდებოდეთ.

დედამიწა ერთი მთლიანი უზარმაზარი სასაფლაოა. ყველგან, სადაც ადამიანის მოდგმას უცხოვრია, აკლდამა ან ნაკლდამარი. ჩვენ, დედამიწელები, სასაფლაოს ბინადარი ვართ. ზევით - დროებით, ქვევით - სამუდამოდ.

ლალატი ადამიანების უნივერსალური თვისებაა. მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანში ზის ლატენტური მოლაღატე, რომელიც ამ თვისებას ავლენს სპეციფიკურ ვითარებაში. თუ გარემოებებმა არ გვიბიძგა, შესაძლოა, იგი არც არასოდეს გამოვავლინოთ.

და იგი ახლაც ძველებურად მავზოლეუმში წევს და თავისი ციტატებით გვესაუბრება. მე კი სულ ვფიქრობ, ასე, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ მბრძანებლობდა ჯულაშვილი სხვის ქვეყანაში,

მაო კი იყო საკუთარი ქვეყნის მესაჭე. სხვის ქვეყანაში ანგელოსიც რომ იყო, მაინც გარჯა ბოლომდე არასოდეს დაგიფასდება! ვზივარ ამჟამად სენაკში და უწინდებურად ვფიქრობ, ნეტავი, როგორია კობას სამშობლო?

ჩინეთი დიდი ძვეყანაა...

რიცხოობრიობა არ განსაზღვრავს ერის სიდიდეს. ჩინეთი დიდი ქვეყანაა, რომელსაც მარტო ხალხის სიმრავლით ნუ გავზომავთ... უმთავრესია წვლილი, რომელიც ოდითგანვე ჩვენ შევიტანეთ კაცობრიობის საგანძურში და ახლაც შეგვაქვს. ჩვენ არ გვჭირდება სხვისი მინა, სხვისი ნაჯაფი, მაგრამ მე მტკივა ზოგზაგები, კონფუცის დროდან და დაოსიდან აქამდე რომ გამოვიარეთ. სამშობლო ჩემო, გამსახურე, როგორც შემეძლო, მაგრამ დღეიდან მე ვიქნები შენზე მლოცველი მხოლოდ შორიდან - შეხიზნული ჯოკანგის ტაძარს.

მთარგმნა რაულ ჩილაჩავა

სოფლელი ტეტიანა, უილიამ კარლოს უილიამსზე სიტყვა დაავადო ეზრა პაუნდმა, მერე ქუდი დაიხურა, კარიც გაიხურა და 1908 წელს კულტურისა და ხელოვნების ცენტრს, ევროპას მიაშურა.

ევროპიდანაც არ აკლებდა დაცინვასა და სარკასტული ენის მათრახივით გადარტყმას ნიუ ჯერსიში დარჩენილ მეგობარს, პროფესიით ექიმ უილიამსს, რომელიც სამშობლოს დატოვებაზე ვერაფრით დაითანხმა.

არადა, რთული პერიოდი იყო, 1910-1920-იანი წლები იდგა. თავშესაფრისა და შემოქმედებითი აღიარებისთვის ყველა ევროპაში გარბოდა; საფრანგეთი და ინგლისი სავსე იყო ამერიკიდან ჩასული მწერლებით, პოეტებითა თუ მხატვრებით.

პაუნდი და ელიოტი, დულიტილი თუ ოლდინგტონი ევროპისკენ მიიწვედნენ და თავს ანტიკური კულტურისა თუ რენესანსული ხელოვნების წინაშე იხრიდნენ.

განაახლეო (Make it new), ამბობდა პაუნ-

მცხოვრებ პაუნდს, რომელიც უილიამსისგან ძალიან დახვეწილ, მხატვრულად სრულყოფილ, ნამდვილ იმაჟისტს ქმნიდა და ძერწავდა. მაგრამ, მიუხედავად პაუნდის ავტორიტეტისა, უილიამი თვითმყოფად ამერიკელ პოეტად დარჩა.

1920-იანი წლებში ამერიკელი ფილოსოფოსი, ჯონ დიუი წერდა - ლოკალური ამავე დროს უნივერსალურიაო. უილიამ კარლოს უილიამ-



სოფლელი ბაბია

დი და საკუთარი შემოქმედების ესთეტიკურ საფუძვლად კლასიკური ლიტერატურის განახლება და გარდაქმნას აცხადებდა. ამერიკული არ განუხსნებია. ისევ ფრანგული პოეზია გარდაქმნა ბრიტანულ ყაიდაზე და იმაჟისტის სახელწოდებით ცნობილი პოეტური მიმდინარეობა შექმნა.

ამიტომაც ვერ უგებდა პაუნდს ნიუ ჯერსიში გაზრდილი და ნიუ-იორკში მცხოვრები უილიამ კარლოს უილიამსი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მასთან მეგობრობდა და იმაჟისტთა ჯგუფშიც გაერთიანდებოდა. ვერც ელიოტს უგებდა. 1922 წელს „ბერნი მინის“ წარმატების შემდეგ ბრაზდაგუბებული წერდა, რომ პოემა, რომელიც ევროპული კულტურითა და ალუზიებით იყო გაჟღერებული, ამერიკულ ლიტერატურას თავზე კატასტროფასავით დაატყდებოდა; ამერიკელ პოეტებს ინფექციასავით მოედებოდათ და ამერიკულ პოეტურ მოდერნულ ტრადიციას, რომელიც ფეხის ადგმას იწყებდა, კვლავ ევროპული ლიტერატურისკენ გადასრდა.

თუმცა ქვეყნის ერთგული, სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი, რომელიც ამავე დროს ქმარც იყო, მამაც და შვილიც, პაუნდის ირგვლივ არსებულ ევროპულ ლიტერატურულ გარემოზე ოცნებობდა, ლიტერატურული სივრცე აკლდა და გამოცდილების გასაზიარებლად მუდმივად ხელოვანებს ეძებდა, რედაქციებში კავშირებს ქმნიდა, პოეტებს, მხატვრებს იმეგობრებდა, ალფრედ სტიგლიცისა და მაქსველ ზოდენშეიმის ბოქსერულ წრეში ტრიალებდა; უოლას სტივენსთან საერთო პოულობდა და საკუთარი შემოქმედების მიზანს, რომ ამერიკული პოეზია ევროპული გავლენის სიმძიმისგან გაეთავისუფლებინა, ყველას უზიარებდა. მერე, 1930-იან წლებში, ევროპაში მოგზაურობისას გერტრუდ სტაინს, ფორდ მადოქს ფორდს, უილიამ ბატლერ იეიტსს, ჯიმიზ ჯოისს ხვდებოდა და ამ უკანასკნელის დუბლინურ, ლოკალურ სამყაროზე დაკვირვებით საკუთარი შემოქმედებით მიზნის სისწორეში კიდევ უფრო რწმუნდებოდა.

რწმუნდებოდა და ემსახურებოდა კიდევც. პოეზიას იარაღად იყენებდა და ევროპული ტრადიციის ნაცვლად, შემოქმედების ფოკუსს ადგილობრივ, ამერიკულ კულტურაზე ასწორებდა. უზომოდ მოსწონდა პაუნდის სტილი, მისი მინიმალისტური, ხატებით დახუნძლული, ურთიმო, მაგრამ მუსიკალური ლექსები. ამიტომაც იმაჟისტებს, რომელთაც სათავეში პაუნდი ჩაუდგა, ფორმითა და სტილით მიემხრო. ლექსის უმთავრეს ფორმალურ ღირებულებად მუსიკალობა აღიარა და ვიზუალური ხატებით, თუმცა ამერიკულზე მორგებული თემატიკით, ევროპული იმაჟისტისგან დამოუკიდებელი, განსხვავებული ამერიკული ფრთა შექმნა. ლექსებს ხშირად უგზავნიდა ლონდონში

სისტემაზე ერთადერთი უნივერსალობა ის ადგილი იყო, სადაც იზრდებოდა და ცხოვრობდა. ამიტომაც საკუთარი შემოქმედებაც ლოკალური: ნიუ-ჯერსისა და ნიუიორკული კულტურის ასახვას მიუძღვნა.

მთავარი დეტალებია და არა იდეები, წერდა და საკუთარი ლექსებით ნიუ-იორკში დანახულ ყველაზე ბანალურ, ერთი შეხედვით არაპოეტურ ნივთებს ელაციცებოდა. და მაშინ, როცა ელიოტი და პაუნდი ევროპული მითოსითა და რენესანსული კულტურით გაჟღერებულ ლექსებსა და პოემებს ქმნიდნენ, უილიამ კარლოს უილიამსი გახსნილ მაკრატელზე, ბულბულზე, ამერიკელ ქალბატონებზე, ყვავილის ქოთანზე, ფერმერსა და მის ქალიშვილზე, ფეხშიძე ქალზე წერდა... წერდა წამისმიერ გამოცდილებაზე, გონებაში შემოსულ კადრსა თუ საგანზე და მთავარს გამოხატავდა: რომ ამერიკული ცხოვრება და, ამდენად, სამყაროც, მსგავსი, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებისგან შედგებოდა.

დეტალები და საგნები კი თავად ჰყვებოდნენ საკუთარ თავსა და მნიშვნელობაზე. თუმცა, საუბრობდნენ არა ბრიტანულად, არამედ უკვე ამერიკულად.


და დეტალები, რომლითაც ამერიკას აღწერდა, ევროპული გავლენისგან თავისუფალი, ახალი მოვლენა იყო ამერიკულ ლიტერატურაში. თუმცა არც ფორმა ყოფილა ძველი. 1910 წელს, როცა ეზრა პაუნდმა ოლდინგტონთან და დულიტლთან ერთად იმაჟისტის მანიფესტი დაწერა, მოდერნული პოეზიის ესთეტიკა სამ ძირითად საყრდენზე ააგო: რიტმზე, ხატებსა და ზედმეტი სიტყვების განდევნაზე. მინიმალისტური სტილი არჩია და სამყარო მეტაფორულ აღქმას დაუქვემდებარა. უილიამ კარლოს უილიამსიც, რომელიც ძიების პროცესში იყო და გამოხატვის ახალ შესაძლებლობებს ეძებდა, ეზრას გზას მიჰყვა. ფორმა მოენონა და ლექსი ერთობ ვიზუალური, მუსიკალური, რიტმული და ხატოვანი გახდა, თუმცა სრულიად განსხვავებული შინაარსით შეავსო. ევროპელი იმაჟისტებისგან განსხვავებით, მითოსურ ალუზიებსა და მალალ რენესანსის ზურგი შეაქცია და ამერიკულ, ყოველდღიურ ცხოვრებაზე „ჩამოქვეითდა“.

ამიტომაც შერჩა სიცოცხლის ბოლომდე სოფლელი ტეტიას სახელი. მაგრამ არ ანალელებდა. პროვინციული ამერიკიდან უყურებდა ევროპაში გახიზნულ პოეტებს და გულის სიღრმეში მათ კულტურულ პრეტენზიებსაც დასცინოდა. იჯდა და წერდა ამერიკულ ცხოვრებაზე, ამბებზე, საკუთარი თვითმყოფადობით ევროპელი პოეტების გავლენას უსხლტებოდა და საოცრად ამერიკულ პოეზიას ჰქმნიდა.

და რატომაც არა, დარჩეს სოფლელ ტეტიად!

ქეთი გასოკია

დიმიტრი (მიტო) დანგაძე



ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ და ალბინიზმმა დიდი დანაკლისი განიცადა - მათ რიგებს გამოაკლდა დიმიტრი დანგაძე - საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ცნობილი ალბინისტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მთავრობის და სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის წევრი, „ლირსების ორდენის“ კავალერი. იგი 1933 წელს დაიბადა ქ. ქუთაისში. 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, შემთხვევითი არ იყო, რომ მის სადიპლომო ნამუშევარს ერქვა „მწვერვალი“ (ხელმძღვანელი აპოლონ ქუთათელაძე); 1961 წლიდან მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. შექმნილი აქვს საქართველოს არაერთი კუთხის პეიზაჟები, ასევე, პორტრეტები. აღსანიშნავია მისი უახლოესი მეგობრის, „გიგი აბაშიძის“ პორტრეტი.

დიმიტრი დანგაძე ავტორია საქართველოს ალბიური კლუბის ემბლემისა და სამკერდე ნიშნისა. ეს ემბლემა 1973 წელს თბილისში გამართული მთავრობის საერთაშორისო ასოციაციის (უიანა) გენერალური ასამბლეის პლაკატზეც აღბეჭდეს. კლუბის ემბლემაზე ულამაზესი, კისერმოდული, მოქნილი, მბრძღვინავი ვეფხვია გამოსახული. ვისაც მიტო დანგაძე მთაში უნახავს, იმ ვეფხვს მისი ავტორის სიმბოლურ ავტოპორტრეტად მიიჩნევდა.

დიმიტრი დანგაძე ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიღმა საზოგადოებრივ და პედაგოგიურ საქმიანობაშიც ეწეოდა. 1961 წლიდან მოყოლებული, მუშაობდა თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის მრავალი წარმატებული ხელოვანის აღზრდის საქმეში; ამასთანავე, არაერთი სტუდენტი აზიარა ალბინიზმის სიყვარულს.

მიტო დანგაძემ მთელი ცხოვრება ალბინიზმს მიუძღვნა. მისი ღვაწლი

არაერთი პრემიითა და ჯილდოთი აღინიშნა. იგი მოპოვებული მემდლების საერთო რაოდენობით (8 მემდლი), ქართული ალბინიზმის ისტორიაში უნიკალური მიღწევის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მემდლი. ამასთანავე, ის საქართველოში საცხენოსნო ტურიზმის პიონერად მოგვევლინა და მთელ ქვეყანაში საცხენოსნო ტურიზმის მარშრუტები გაკვალა.

1973 წელს ვაჟა გიგაშვილის სცენარით რეჟისორმა მერაბ კოკოჩავილმა პამირზე, „კორჟენევესკაიას“ პიკის მთამსვლელებზე გადაიღო ფილმი „დიდი მწვერვალი“, სადაც მიტო დანგაძემ მთავარი როლი შეასრულა. მხატვრის ბიოგრაფია შესულია ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ ვინა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“, საქართველოს მხატვართა კავშირის მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ნიშნულში „ქართველი მხატვრები 2014-201566“, სამხატვრო გამოფენების კატალოგებში, ალბომში და სხვა.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი შემოქმედი, ჩინებული ალბინისტი, განათლებული, გულთბილი, შესანიშნავი მეგობარი და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი.

დიმიტრი (მიტო) დანგაძის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ალბინიზმის, შემოქმედითა და ალბინიზმის თავყვანისმცემელთა, ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირი

ივლისისუაჩი „ლილა“

დახს, ეს მეშვიდე ნომერია, ცხელ-ცხელი, - ლალი ჯაფარაშვილისა და ლალი ლაჭავას საზაფხულო ლექსებით, ნინო კაპანაძის მყლერითმანი კატრენებით, ინესა ბერძულის სახუმარო გათვლა-სათვალავებით, ლია კობალაძისა და მზია მექერიშვილის თემატური გალექსებით, იოსებ ომაძის „საზამთროს სიმღერით“; ოტია იოსელიანის მოთხრობით არდადეგებზე, ნინო დიღმელაშვილის ესთეტიკური ბელეტრისტიკით, ნინო არსენაშვილის ვარდისფერი ჩანახატი, ქეთევან ფანჩიძის ბაჭყალი ნარატივით, ნინო ქუთათელაძის საბავშვო ნონ-ფიქშენით, პაატა ჩხეიძის კომიქსითა და, რა თქმა უნდა, ნინო მზესელის ტრადიციული ნიგუნუკით; ეკო ფრანგიშვილის, მანანა მორჩილაძის, მალხაზ კუხაშვილის, ნატალია კუციას, ვაჟა ქურხულის, ვახტანგ გულისაშვილის, ზაურ დეისაძის, ნანა სანაიასა და ნანა სულემანაშვილის ფერადოვანი მხატვრობით.

სადღესო მუნასიბი არ გაყავთ მაიდა?

სრულიად არადიპლომატიური მიმართვა ბატონ დევიდ კრამერსა და ყველას, ვინც უხეშად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და საქართველოს სუვერენულ უფლებებს.

ბატონო კრამერ, გკითხავ ერთ რამეს: ჩვენს პრემიერს რომ გადადგომას ურჩევ, შეილოსა, ვინ გთხოვა რჩევა უცხო ქვეყნის ყოფილ ჩინოსანს?

კახურად გეტყვი, კიდევ ერთი კითხვა „მამინდა“: არ გაყავს მაიდა? თუ გაყავს, სანამდე ტანზე ჯინსებს შემოიხვევდ, იმას მიხედ!

მავანთა შექმნილ ჯოჯოხეთში კუპრს ნუ მოურევ და გნამდეს, ცოდვილს რომ უშენოდ უკეთ მოვუვლით!

ალექსანდრა შენგალია

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატრეველი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბალა გვალაშვილი, მზია პარაპაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **მოდერნიზმი**

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

ზანდუქელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqtvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარი“ სტამბაში მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

გაგოღის პარასკეობით
ISSN 1987-9806
9 771987 980005